ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 2 – 3 ივნისი, 2018

№129 (7674)

ფასი: 50 თეთრი

ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა

გვ.7

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ზაზა სარალიძე: „ჩემი შვილის სული არ იყიდება“

შსს: „არსებობს ზაზა სარალიძის“ მოკვლის საფრთხე

გვ.2

„მირზა სუბელიანი „ოცნებას“ აშანტაჟებს“

„სანდრო გირგვლიანის მკვლელებს ივანიშვილი მფარველობს“

გვ.3



„ხელისუფლება არეულობის მოწყობას აპირებს“

გვ.3

დიმიტრი ბიძინაშვილი: „გამწარებულ ხალხს უკვე ვერაფერი შეაჩერებს“

ხათუნა ხოფერია: „ნაციონალებმა ზაზა სარალიძეს სულში ჩააფურთხეს!“

გვ.4

სამართალი გვ.7

ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლომერ ჟორჟოლიანი ძიუდოისტ სოსო წელაურის დაჭრისთვის დაკავებულია

ავარია ბათუმში

დაშავებულია 2 ადამიანი

ექსპერტიზის დასკვნების დამახინჯება და სასამართლოს შედეგებზე ზემოქმედება შსს ხორავაზე მკვლელობის საქმის ახალ დეტალებს იძიებს

ეკონომიკა გვ.6

ვინ ასაქმებს ყველაზე მეტ ადამიანს საქართველოში

ენგურჰესი ამუშავდა, თუმცა სასწრაფო რეაბილიტაცია ესაჭიროება

მოსახლეობისთვის უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება პრობლემაა

ირაკლი ბერძენაძე: „ახალი რეგულაციებით მევახშეების საქმიანობას შევუწყობთ ხელს“

ISSN 1987-9385

8 მოსკოვი და ფხენიანი უმაღლეს დონეზე შეხვედრაზე შეთანხმდნენ

5 „რუსეთმა შეიძლება ირანსაც მოსთხოვოს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება“

6 დღევანდელი აქციები საზოგადოების მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილიცაა

5 ლევან ჩაჩუა: „მთავარია სისტემური ცვლილებები და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები“

ზაზა სარალიძე: „ჩემი შვილის სული არ იყიდება“

ნათია ხურცილავა

პარლამენტთან აქციები კვლავ გრძელდება. 1 ივნისს 4 საათისთვის დაანონსებული აქცია ბევრად უფრო ადრე დაიწყო. მოგვიანებით რუსთაველის გამზირი აქციის მონაწილეების სიმრავლის გამო გადაიკეტა. აქციას 51-ე სკოლისა და სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ლოზუნგით – „სისტემა ისევ კლავს“ შეუერთდნენ.

აქციაზე იყვნენ პოლიტიკოსებიც, თუმცა ისინი ტრიბუნასთან არ მისულან.

აქციაზე სიტყვით შვილმკვდარი მშობლები გამოვიდნენ, მათ შორის იყვნენ ბარბარე რაფალიანცის დედა და მალხაზ მაჩალიკაშვილი, რომლებიც სპეციალურად ამ აქციისთვის ჩამოვიდნენ. ისინი ზაზა სალარიძეს სოლიდარობას უცხადებდნენ და მის გვერდით იდგნენ.

პარლამენტის წინ რამდენიმე კარავია გაშლილი. კარავში გაატარა მთელი ღამე ზაზა სარალიძემ, რომელთანაც 1 ივნისს დილით პრეზიდენტი მარგველაშვილი თავის ადმინისტრაციის წევრებთან ერთად მივიდა. შემდეგ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ მოუსმინა სარალიძეს.

მოგვიანებით კარავში შვილმკვდარ მამასთან საპატრიარქოს წარმომადგენელი რამდენიმე დეკანოზი მივიდა. შეხვედრა დახურული იყო. საპატრიარქოს წარმომადგენლებს პრესასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ზაზა სარალიძემ საპროტესტო აქციაზე შეკრებილებს ამ სიტყვებით მიმართა:

– ცდილობენ მთავრობა და სუსი, რომ ეს ტრაგედია პოლიტიკოსებთან გააიგივონ. მესმის რეპლიკები, რომ პოლიტიკა დგას ჩემს უკან. მე ინფორმაცია მაქვს, რომ თბილისის სხვადასხვა ქუჩაში აქციებია დაგეგმილი და ისინი ჩვენთან არ მოდიან იმის გამო, რომ თითქოს აქ ვიღაც პოლიტიკოსები არიან. მე ჩემი შვილის სულს არასდროს არავის არ მივყიდი. ჩემი შვილის სული არ იყიდება, ხალხო. ნუ ცდილობენ მთავრობა და სუსი, რომ ეს ტრაგედია პოლიტიკოსებთან გააიგივონ.

ისევ ცდილობს სისტემა, რომ მომატყუოს, თითქოს გამოსაძიებლად გახარიასთან წავა საქმე. გახარიას 2 თვის წინ ვემუდარებოდი, შემხვდიმეთქი. დღესაც არ მაქვს მისგან გამოხმაურება. ჩვენი შვილების მკვლელების სისტემა უნდა დაინგრეს.

სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ პრესასთან კომენტარი გააკეთა:

– ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ყველა უწყებასთან მივიდეს ის სათქმელი, რაც აქვს ბატონ ზაზა სარალიძეს. ბევრი დეტალია საქმეში, რაც ეჭვს იწვევს, მაგრამ ამის მიტანა საზოგადოებამდე ტელევიზიების და მიტინგის მეშვეობით არის რთული. ყველა დეტალს, რაც მას აწუხებს და გამოუძიებელ გარემოებას, ყველა საეჭვო გარემოებას, მივიტან ყველა უწყებამდე.

ვეცდები, როგორც სახალხო დამცველმა, ეს ფუნქცია განვახორციელო, რომ მივიტანო ბატონი ზაზას სათქმელი გამოძიებამდე. ბატონ ზაზას აქვს დაკარგული რწმენა გამოძიების მიმართ და ჩემი ფუნქცია არის, რომ ამ საქმეზე მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს, გამოძიებამ არ უნდა დატოვოს კითხვები. შევხვდები ყველას, ვისაც საჭირო იქნება.

ოთარ კახიძე, „ევროპული საქართველოს“ წევრი:

– მთავრობას ქვეყნის მართვის რესურსი არ აქვს და ლოგიკურია, რომ სიტუაცია ვადამდელი არჩევნების გზით უნდა განიმუხტოს. ხელისუფლება ცდილობს რაღაც ნაბიჯებით, როგორიც

იყო, მაგალითად, შოთაძის გადაყენება, ჩააცხროს აქცია და ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ქვეყანაშია. მინდა მათ ვუთხრა, რომ პოლიტიკური კრიზისი არ იზომება რუსთაველის გამზირზე ადამიანების რაოდენობით. ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებაა. გუშინ ჩვენ ვიხილეთ აბსოლუტურად უსუსური პრემიერი. არანაირი რესურსი ქვეყნის მართვის ამ მთავრობას აღარ აქვს, ამიტომ ვამბობ, რომ ლოგიკურია, განიმუხტოს პოლიტიკური კრიზისი ვადამდელი არჩევნების გზით.

თათია მექერიშვილი, ბარბარე რაფალიანცის დედა:

– დღეს ჩვენ ერთმა ტკივილმა გაგვაერთიანა. მალხაზს და ზაზას სოლიდარობას ვუცხადებ. როგორც მათი შვილები, ჩემი შვილიც მოკლეს 2012 წლის 30 სექტემბერს. მე 6 წელია, ვეძებ სამართალს, მაგრამ სამართალს ვერ ვიპოვით ამ უსამართლო ქვეყანაში. დღემდე ვეძებ ჩემი შვილის მკვლელებს, მაგრამ ამაოდ, შემოდეს ჩვენი საქმეები თაროზე და აღარ აინტერესებთ. ამიტომ მოდით, ჩვენ დავუდგეთ ამ ადამიანებს გვერდზე და გამოვიძიოთ ეს საქმეები. მე მყავს კიდევ შვილები და ამიტომ არ მინდა ამ უსამართლო ქვეყანაში იზრდებოდნენ და მეშინოდეს, დილით რომ გავლენ ჩემი შვილები, დაბრუნდებიან თუ არა უკან.

სანდრო ჩხეიძე, სკოლის მოსწავლე:

– მე სკოლის მოსწავლე ვარ. ორივეს – ლევან დადუნაშვილსა და დათუნა სარალიძესაც ვიცნობდი. სკოლის გაკვეთილების შემდეგ სახლში ვერ წავიდოდი მშვიდად, თითქოს არა-

ფერი არ ხდება ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ, ჩემს მეგობრებთან ერთად წამოვედით აქციაზე. ჩვენ ჩვენი მეგობრების გვერდით ვდგავართ, რომლებიც მოგვიკლეს. მოგვიკლეს, მაგრამ სამართალს ვერ ვპოულობთ, ამის განცდა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. 6 თვეა გვეუბნებიან, რომ დამშვიდდით, დამნაშავეები დაისჯებიან, მაგრამ გაირკვა, რომ დამნაშავეები არათუ დაისჯნენ, ქუჩაში ყოფილან თავისუფლებაზე. ამასთან შეგუება ძალიან რთულია.

– თქვენი მოთხოვნა რა არის?

– სისტემა უნდა დაინგრეს. სისტემა, რომელიც გვატყუებს, რომელიც თავის მთავარ ფუნქციას არ ასრულებს. სისტემამ გვითხრა, მოკვდი, მაგრამ არა უშავს, შენი მკვლელი არ დაისჯება. ჩვენ ვერ ავაშენეთ დემოკრატიული სახელმწიფო, რადგან ისევ საბჭოური აზროვნებით ვაზროვნებთ. ის თაობა, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია.

ჩვენ არ ვართ ელიტა, ვიღაცები კი არიან ელიტა და მათთვის ყველაფერი მოსულა. სანამ ამ განწყობით ვიქნებით, არაფერი არ გვეშველება. თუმცა, მათ ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყანაში ჩვენ ვართ უმრავლესობა და მათ არაფერი არ გამოუვათ. დრომოჭმული აზროვნება უნდა დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ. ამას უბრალოდ არ შევეგუებით. ერთი კიდევ რაც მინდა ვთქვა, არავის ხელში არ ვართ იარაღი. თითქოს ვიღაცის ხელში იარაღი ხართო – არა, არავის იარაღი არ ვართ! ეს შეუძლებელია!

*** *** ***

1 ივნისს მიტინგზე მსჯელობა ახალ მთავარ პროკურორთან დაკავშირებითაც გაიმართა.

აქციაზე მისული პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებას ქვეყნის მთავარი პროკურორის პოსტს არ დაუთმობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ მთავარი პროკურორი საზოგადოების ფართო კონსენსუსის შედეგად უნდა იყოს შერჩეული და მის შერჩევაში მონაწილეობა არასამთავრობო სექტორმა და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა მიიღოს.

ალეკო ელისაშვილი მიიჩნევს, რომ მთავარი პროკურორის პოსტზე ანა დოლიძე უნდა დაინიშნოს.

– მე ფეისბუკზეც დავწერე, რომ ხელისუფლების მხრიდან ვითარების განმუხტვისა და ადეკვატურობის დემონსტრირებისათვის აუცილებელია მთავარი პროკურორის თანამდებობაზე პრინციპული, საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი ადამიანის მხარდაჭერა. მე პირადად, ასეთ მოქალაქედ და პროფესიონალად მიმაჩნია ანა დოლიძე. მე მართლა ვისურვებდი, რომ ანა დოლიძის კანდიდატურას რუსთაველზე შეკრებილმა საზოგადოებამ პოლიტიკოსმა თუ არაპოლიტიკოსმა დაუჭიროს მხარი. მე ვთვლი, რომ ახალი მთავარი პროკურორის დამტკიცება უნდა მოხდეს უმოკლეს ვადებში.

ჟურნალისტებმა მომავალი მთავარი პროკურორის შესახებ ნინო ლომჯარიას ჰკითხეს.

ნინო ლომჯარია:

– საქართველოს მთავარი პროკურორის არჩევა უნდა იყოს ერთ-ერთი პასუხი სახელმწიფოში განვითარებულ მოვლენებზე. როგორ განვითარდება მოვლენები, ეს დაგვანახებს, როგორი პასუხი ექნება ხელისუფლებას დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყებების მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში არ დარჩეს შეგრძნება იმისა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება ცდილობს მისთვის სასურველი კანდიდატის დასახელებას. აუცილებელია პროცესი იყოს მაქსიმალურად ინკლუზიური. სამოქალაქო საზოგადოების და სხვა წრეებთან შეთანხმებით უნდა მოხდეს ისეთი კანდიდატურის დასახელება, რაც მისაღებია ფართო საზოგადოებისთვის და აქვს მიუკერძოებლის, აპოლიტიკურის და პროფესიონალი ადამიანის რეპუტაცია. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯი საზოგადოებისთვის.

შსს: „არსებობს ზაზა სარალიძის მოკვლის საფრთხე“

შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ არსებობს ზაზა სარალიძის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე, ამიტომ სარალიძეს მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალურ ღონისძიებებს სთავაზობს.

– არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ზაზა სარალიძის წინააღმდეგ, გარკვეული პოლიტიკურად მოტივირებული ძალების მხრიდან, მოსალოდნელია სხვადასხვა სახის პროვოკაციები. აღნიშნული პროვოკაციები შესაძლოა, გამოყენებული იყოს ქვეყანაში დესტაბილიზაციისთვის. ვინაიდან ეს რისკი მაღალია და არსებობს სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ზაზა სარალიძეს სთავაზობს მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალურ ღონისძიებებს, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მირზა სუბელიანი „ოცნებას“ აშანტაჟებს“

„სანდრო გირგვლიანის მკვლელებს ივანიშვილი მფარველობს“

შორენა მარსაგიშვილი

ჩატომ ეჩ მოიტანს შედეგს მთავარი პროკურორის გადადგომა, ჩატომ მფარველობს ივანიშვილი ნაციონალებს, ჩატომ ეჩის აუცილებელი ზაზა სარალიძის გვეჩდით დადგომა, ჩა სკანდალუი ინფორმაციებს ფლობს მიჩზა სუბელიანი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველი ღაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

– შვილმოკლული მამის, ზაზა სარალიძის მხარდამჭერმა აქციამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი და განსაკუთრებით ქოცები გამწარებულ მამას ამუნათებენ – ნაცები გვერდზე როგორ დაიყენეო. ამბობენ, რომ ამ აქციას თავადაც შეუერთდებოდნენ, მაგრამ რაკი იქ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, არ მივლენ.

– ეს არის არასწორი მიდგომა. თუ ვინმე ებრძოდა წინა რეჟიმს, ერთ-ერთი მე ვიყავი. იმ წლების მანძილზე სააკაშვილის რეჟიმმა ცხრაჯერ დამაკავა. ნაციონალების წინააღმდეგ მოწყობილ ყველა აქციაში მაქვს მონაწილეობა მიღებული და მათ მხარდაჭერას ვერავინ დამაბრალებს. ეს ძალა ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ ტრაგედიად არ მიმაჩნია, რომ მათთან ერთად ვდგავარ აქციაზე. აქციაზე, რომელიც ბავშვების მკვლელების გამოვლენას და მათ დასჯას ითხოვს.

შვილმოკლული მამის მხარდასაჭერად გამართულ აქციას ნაცები, ალბათ, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ, მაგრამ ამაშიც „ქართული ოცნებაა“ დამნაშავე.

– „ქართული ოცნება“ რატომ არის დამნაშავე?

– იმიტომ, რომ მათი დამსახურებით მივიდა აქამდე საქმე. ხორავას ქუჩაზე სისხლიანი გარჩევა გასული წლის 1 დეკემბერს მოხდა. ზაზა სარალიძე მთელი ამ პერიოდის მანძილზე იძახდა, რომ ხელისუფლება მკვლელებს მფარველობდა. თვეების მანძილზე ითხოვდა ეს ადამიანი გვერდში დადგომას, რატომ არ დაუდგნენ ქოცები გვერდით? რატომ დააფარეს მკვლელებს ხელი? ეს საქმე სამართლიანად რომ გამოძიებინათ, ნაცები ქუჩაში ვეღარ გამოვიდოდნენ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ნაცები ჩემთვის მიუღებელი ძალაა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ მაინტერესებს, რომ ზაზა სარალიძის გვერდით ისინიც დგანან. მე წინა რეჟიმს იმიტომ ვებრძოდი, რომ ქვეყანაში შერჩევითი სამართალი აღარ ყოფილიყო და დამნაშავეებს პასუხი ეგოთ.

2012 წელს ხელისუფლება შევცვალეთ, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ? „ქართული ოცნება“ ისევე მფარველობს მკვლელებს, როგორც ამას ნაციონალები აკეთებდნენ. ამაზე ვერაფრით დავხუჭავ თვალს და ამას აუცილებლად გავაპროტესტებ. გავალ ყველა აქციაზე, სადაც სამართალს მოითხოვენ და თუ ქოცებს არ სურთ, რომ ამით ნაციონალებმა ისარგებლონ, მაშინ ნუღარ მოკლავენ და აღადგინონ სამართალი.

მინდა მივმართო საზოგადოებას და აქტიურობისკენ მოვუწოდო. ჩვენ მხოლოდ ერთობლივი ძალებით შეგვიძლია შევაჩეროთ უსამართლობა და აღვადგინოთ სამართალი. სარალიძის და მაჩალიკაშვილის მკვლელები თუ არ დაისაჯნენ, ხვალ სხვებსაც მოკლავენ.

– საზოგადოების დიდი ნაწილი მზადაა, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ქუჩაში გამოვიდეს. ისინი ქოცების მხარდამჭერები არ არიან, მაგრამ ამბობენ, რომ იმ ხალხის გვერდზე ვერ დადგებიან, ვის კისერზეც არის გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის და სხვების სიკვდილი.

– ამ ადამიანების კარგად მესმის, მაგრამ რაც მეტი ადამიანი მოვა აქციაზე, მით მეტად გადაიწევენ ნაციონალები უკან. რაც შეიძლება მეტი სუფთა წარსულის ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და მერე ვერავინ იტყვის, რომ ნაციონალები დგანან ამ აქციის უკან.

ის სურათი, რომელიც დღეს გვაქვს, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებშია. მისი დიდი სურვილია, რომ ამ აქციაზე ნაცებმა იაქტიურონ – საზოგადოება ქუჩაში აღარ გამოვა. ქოცები და ნაცები იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, შესაძლოა, ერთობლივი შეთანხმებით მივიდა ყოფილი ხელისუფლება აქციაზე. დღეს საქართველოში ნაცებს ივანიშვილზე და ქოცებზე დიდი მფარველი არ ჰყავს.

ამ დღეებში ბევრი განცხადება მოვისმინე იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე გირგვლიანის მკვლელების გვერდით არ დადგებიან. ამაზე ყველაზე ბევრს ქოცები ლაპარაკობენ. მინდა მათ ვკითხო, რა უფლებით ახსენებენ გირგვლიანს? „ქართულ ოცნებას“ არც გირგვლიანის და არც სხვა გახმაურებული მკვლელობები არ გამოუძიებია.

ფაქტობრივად, არც ერთი სერიოზული დამნაშავე დასჯილი არ არის. არ დასაჯეს მკვლელები და ამიტომაც მივიღეთ ახალი მკვლელობები. მაჩალიკაშვილის და სარალიძე-დადუნაშვილის მკვლელები თუ არ დაისჯებიან, ხვალ კიდევ მოკლავენ ვიღაცას.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ის აქციები, რომლებიც ახლა ტარდება, არ არის ნაციონალების. მთავარი ისაა, რომ იმ აქციაზე შვილმოკლული მშობლები დგანან. ისინი სამართლის საძებნელად გამოვიდნენ ქუჩაში. მათ მხარდასაჭერად თითქმის მთელი ოპოზიცია მივიდა. ის ხალხი მივიდა, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ ნაციონალებს.

ღაშა ჩხარტიშვილი: „სად იყვნენ ქოცები და ბიძინა მაშინ, როცა ჩვენ ნაცებს ვებრძოდით“

სად იყვნენ მაშინ დღევანდელი ქოცები, ეს კიდევ საკითხავია. და თუ ვინმე მფარველობს გირგვლიანის მკვლელებს, ეს პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილია. ლევან მურუსიძე გახლდათ გირგვლიანის საქმის მოსამართლე. როგორი განაჩენი გამოუტანა მან მკვლელებს, ესეც გვახსოვს. ეს ადამიანი, ივანიშვილის წყალობით, ქართული თემიდის სახე გახდა. ამას რატომ არავინ არ აპროტესტებს?

ნაცებზე როცა ლაპარაკობენ, რატომ არ განმარტავენ, წინა რეჟიმის რამდენი წარმომადგენელი დანიშნეს მაღალ თანამდებობაზე. დეპუტატებიდან რამდენია ყოფილი ნაცი, ან რამდენი ნაცზონდერი დატოვეს სამსახურში.

ქოცებისგან განსხვავებით, ძალიან კარგად მესმის იმ ხალხის, რომლებიც აქციაზე ნაციონალების გამო არ მიდიან. მათ კიდევ ერთხელ ვეტყვი, რომ ყველა უნდა გამოვიდეს ქუჩაში – რაც მეტი სუფთა ადამიანი იქნება აქციაზე, მით ნაკლებად გამოჩნდებიან ნაცები და ქოცები.

– ამ დღეებში კიდევ ერთი აქცია დააანონსეს, რომელიც ამ აქციის კონტრაქცია იქნება. როგორც ამბობენ, ამ აქციის უკან „ქართული ოცნება“ დგას. ამაზე რას იტყვით?

– ამ აქციის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. თუ „ქართული ოცნება“ აქციას იმიტომ მართავს, რომ მკვლელები დაისაჯონ, ამას მხოლოდ მივესალმები. პროვოკაციის მოწყობას თუ აპირებენ, საკადრის პასუხს მიიღებენ ხალხისგან.

– ხალხისგან პასუხს მიიღებენო და აქციის მონაწილეები ძალიან ცუდად შეხვდნენ გიორგი კვირიკაშვილს. ამაზე რას იტყვით, ელოდით, რომ პრემიერს ბოთლებს დაუშენდნენ?

– არ გამკვირვებია, კვირიკაშვილს რომ ასე შეხვდნენ. ან რას წარმოადგენს კვირიკაშვილი? ის ფორმალურად არის პრემიერი. ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი მართავს. პასუხი მას უნდა მოვთხოვოთ პირველ რიგში.

– აქციაზე მარგველაშვილიც მივიდა. მისთვის ბოთლები არავის დაუშენია. ამას რითი ხსნით?

– იმით, რომ მარგველაშვილმა, ასე თუ ისე, შეძლო სახის შენარჩუნება. საზოგადოება ხედავს, რომ ის მართლაც ებრძვის ივანიშვილს. ის ხალხის გვერდით დადგა და ხალხი თუ მოინდომებს, აუცილებლად გაიმარჯვებს.

– მთავარი პროკურორის გადადგომა არის თუ არა შედეგი?

– ჩემი აზრით, ირაკლი შოთაძის გადადგომა არაფერს არ შეცვლის. მასთან და მის უწყებასთან დაკავშირებით იყო სერიოზული ეჭვები, რომ ისინი მკვლელებს აფარებდნენ ხელს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოჩნდა, რომ ეს მართლაც ასეა. აქედან გამომდინარე, ირაკლი შოთაძის გადადგომა საკმარისი არ არის. ის და სხვა პირები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს სტანდარტი, რომ მკვლელების მფარველები დაისაჯონ. ასეთ შემთხვევაში ყველა საქმე იქნება გამოძიებული. ვერც მთავარი პროკურორი ან რომელიმე მინისტრი ვერ გაბედავს დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებას. მნიშვნელობა არ ექნება იმას, ვისი ახლობელი ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში მირზა სუბელიანები ვერაფერს გახდებიან.

– მირზა სუბელიანი ახსენეთ და რა მართებს მისი „ქართულ ოცნებას“, რომ მზად არიან, მას გადააყოლონ ხელისუფლება?

– ალბათ აქვთ მიზეზი. მთელი ამ თვეების მანძილზე ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ მას აქვს რაღაც სკანდალური მასალები, რომელთა გასაჯაროებაც „ქართული ოცნების“ ინტერესებში არ შედის.

„ხელისუფლება არეულობის მოწყობას აპირებს“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „გამწარებულ ხალხს უკვე ვერაფერი შეაჩერებს“

შორენა მარსაგიშვილი

შვილმოკლული მამის, ზაზა სარალიძის, მხარდამჭერმა აქციებმა ხელისუფლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. მეოცნებეები ამტკიცებენ, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არეულობის მოწყობას აპირებენ. ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე.

მისი თქმით, გარკვეულ ჯგუფებს დესტაბილიზაციის და არეულობის მცდელობა აქვთ, თუმცა ხელისუფლება კანონის შესაბამისად იმოქმედებს.

– ჩვენ ვხედავთ და აშკარად ჩანს, რომ კონკრეტული ძალების მხრიდან ხდება ამ თემით მანიპულირება, რაც ძალიან სამწუხაროა. ცდილობენ დესტაბილიზაციის შემოტანას ქვეყანაში, მინდა ვუთხრა ჩემი ქვეყნის მოსახლეობას, რომ, რა თქმა უნდა, თავისუფლების და აზრის გამოხატვის უფლება ამ ქვეყანაში ყველას აქვს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დააფიქსიროს თავისი მოსაზრება, მაგრამ იმ ძალებს, ვისაც სურს ქვეყანაში დესტაბილიზაცია შემოიტანონ, არეულობა შემოიტანონ, ამის უფლებას არავის მივცემთ.

ხელისუფლება იქნება ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე და ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში. პრემიერი იქ მისული იყო იმისთვის, რომ გამოეთქვა თანადგომა ზაზას მიმართ, მაგრამ იქ მდგომმა ადამიანებმა არ მისცეს ამის შესაძლებლობა. მათი დამოკიდებულება, როგორც მოიქცნენ, ამით გამოაშკარავდა ყველაფერი, ვის როგორ უნდა გამოიყენოს ეს ტრაგედია. თუმცა ჩვენ, მოსახლეობამ, საზოგადოებამ არ უნდა მივცეთ შესაძლებლობა იმ ადამიანებს, ვისაც სისხლში აქვს ხელი გასვრილი, ამ ოჯახის ტრაგედია გამოიყენონ, – აღნიშნა კახა კალაძემ.

საპროტესტო აქციების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ამბობს, რომ დესტაბილიზაციის მოწყობას თავად ხელისუფლება აპირებს.

„ახალ თაობასთან“ საუბარში ბიძინაშვილი ამბობს, რომ 31 მაისს და 1 ივნისს ხელისუფლება უკვე შეეცადა პროვოკაციების მოწყობას. ის „ქართულ ოცნებას“ ურჩევს, მსგავს მზაკვრულ გეგმაზე უარი თქვას. ამბობს, რომ გამწარებული ხალხი ხელისუფლებას დაპირისპირების პროვოცირებას არ აპატიებს.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– დედაქალაქის მერმა გაავრცელა განცხადება, რომ აქციის მონაწილეები დესტაბილიზაციას ვგეგმავთ. მინდა დავამშვიდო ყველა, რომ ჩვენი მხრიდან არანაირი დესტაბილიზაცია არ იგეგმება. ერთადერთი ძალა, ვისაც არეულობა სურს, ეს არის „ქართული ოცნება“. მათ უკვე არაერთხელ სცადეს დესტაბილიზაციის მოწყობა.

ამის გარდა, სერიოზული მუშაობა მიდის იმაზე, რომ მოხდეს ამ საპროტესტო ტალღის დისკრედიტაცია. აქციის მონაწილეებისთვის რომ ტალახი ესროლათ, ამაში მთელი სახელმწიფო აპარატი იყო ჩართული. აქტიურად მუშაობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ კანონი დაიცვას, ის იმ ხალხს აყენებს შეურაცხყოფას, ვინც შვილმოკლულ მამას, ზაზა სარალიძეს, უცხადებს სოლიდარობას. ეს აქცია სოლიდარობას სხვა შვილმოკლულ ოჯახებსაც უცხადებს. სამწუხაროდ, ამ წლების მანძილზე ბევრი ახალგაზრდა გამოასალმეს სიცოცხლეს. პროკურატურა არის უმოქმედო და ამ საქმეების გამოძიება არ სურს.

ძალიან ბევრი მკვლელობა მოხდა და თბილისი გადაიქცა სიკვდილით სავსე ქალაქად. მოვუწოდებ კახა კალაძეს, ჩართოს პირდაპირი ეთერი და კარგად მოუსმინოს, თუ რა განცხადებები კეთდება აქციაზე. ყოველი მეორე გამომსვლელი არის შვილმოკლული დედა ან მამა. ისინი მკვლელების დასჯას ითხოვენ და არეულობის მოწყო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ხათუნა ხოფერია: „ნაციონალებმა ზაზა სარალიძეს სულში ჩააფურთხეს!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ხათუნა ხოფერია პასუხობს

– ქალბატონო ხათუნა, როგორია თქვენი შეფასებები იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც დღეს ხდება? სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ შვილებთან ერთად იყავით აქციაზე, თუმცა იმასაც მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყოო. რატომ?

– იცით, რა არის, გუშინდელი დღის მთავარი მესიჯი, რომელიც საზოგადოებაში გამოვიდა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, იყო ის, რომ ერთ-ერთ არასრულწლოვანს გადაუკვალიფიცირდა მუხლი და ის ერთ ნაწილში ცნეს უდანაშაულოდ. იყო მკვლელობის მცდელობა და არა მკვლელობაო. რატომღაც მივეჩვიეთ ჩვენ და ყველა ვცდილობთ ვისაუბროთ სისხლის სამართლის კოდექსის ენაზე, საროცესო კოდექსის ენაზე და ხალხის ენაზე კი ეს ყველაფერი ჟღერდა ესე, რომ, როგორ კაცო, მთასავით ბავშვია მკვდარი და მკვლელი არ არსებობს?! 12 ჭრილობაა მიყენებული და საბოლოოდ დავდექით ფაქტის წინაშე, რომ მკვლელი არ არსებობდა.

– არასწორად გაიგო საზოგადოებამ თუ არ განუმარტეს?

– საზოგადოებამ თავის ენაზე ჩამოაყალიბა ეს ფორმულირება. შესაბამისად, პროტესტის გრძნობა ჩემშიც გაჩნდა. მით უმეტეს, პროკურატურის მიმართ ნდობის ფაქტორი ჩემი მხრიდანაც ძალიან დაბალია და ეს არაერთხელ დამიფიქსირება. აქედან გამომდინარე, როდესაც ერთ-ერთი ყველაზე სწორი მიმართვა გააკეთა ზაზა სარალიძემ და თქვა, რომ ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, პარტია იქნება თუ ვინ იქნებით, მოგმართავთ ქართველ ხალხს, მოდით და დამიდექით გვერდშიო, მე წავედი იქ ჩემს შვილებთან ერთად და მე დავდექი ზაზა სარალიძის მკვდარი შვილის გვერდით, მისი უფლებების და მისი ღირსების დასაცავად, რომ არავის არასოდეს არ ეთქვა წლების შემდეგ, როგორ დამტოვეთ მარტო ბრძოლის ველზე. ისე, როგორც წლების წინ დავტოვეთ ია მეტრეველი,

როგორც დავტოვეთ მარტო ირინა ენუქიძე.

– არ იყო მაშინ ასეთი სოლიდარობა საზოგადოების მხრიდან?

– პრაქტიკულად საზოგადოება არ დადგა მაშინ ფეხზე. ახლა იგივე რომ არ განმეორებულიყო ამ ხელისუფლების პირობებში, ჩვენ დავუდექით გვერდში. ძალიან ბევრნი ვიყავით, პრაქტიკულად ყველა პარტია იქ იყო და არა მარტო ოპოზიციური, ძალიან ბევრი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავით იქ მისული, იმიტომ, რომ საზოგადოება ყოფილიყო ერთიანი სამართლიანობის დაცვაში! ამას მოყვა ხელისუფლების ძალიან ადეკვატური გადაწყვეტილება. ხელისუფლებამ პრაქტიკულად გააკეთა განაცხადი, რომ ის არის ხალხის ხელისუფლება, უსმენს ხალხს და ემორჩილება მის მოთხოვნებს.

– შოთაძის გადადგომას გულისხმობთ?

– დიახ, შოთაძის გადადგომას ვგულისხმობ! გენერალური პროკურორი, ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი, დაჰყვა საზოგადოების ნებას და გადადგა! დაჰყვა ნებას და გაიგო ხალხის ხმა! ამას მიესალმნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ეს იყო მისი მხრიდან ძალიან სწორად გადადგმული ნაბიჯი! გენერალურმა პროკურორმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მას ჩვენი ესმის!

– უკვე დაგვიანებულია ეს ყველაფერიო...

– პატარა გოგო არა ვარ და ძალიან ბევრი რამ მინახავს. ყველა მიტინგის, ყველა საზოგადოებრივი თავყრილობის მოთხოვნა, ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ უმაღლესი თანამდებობის პირები მივიდნენ ხალხთან და უთხრან, რას აპირებენ ისინი! მიტინგი მაშინ ითვლება შემდგარად, როდესაც ის დაიყოლიებს ხელისუფალს და აიძულებს, მივიდეს მასთან!

– ხომ მივიდა კვირიკაშვილი?

– დიახ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაეცნო ხალხისთვის, მივიდა იქ შეკრებილ ხალხთან და რა მოჰყვა ამას?! შეურაცხყოფა!

მე უკვე წამოსული ვიყავი და გზიდან მოვბრუნდი, რომ გავიგე, რომ პრემიერ-მინისტრი მივიდა. მცდელობა მქონდა, რომ ავსულიყავი ზემოთ, როდესაც დავინახე, რომ მას ბოთლებს ესროდნენ. პრაქტიკულად ხალხმა თქვა უარი საკუთარ მოთხოვნაზე.

– ეს რაში გამოიხატებოდა?

– უმთავრეს მოთხოვნაზე, რომ ხალხისთვის, თავყრილობის ადგილზე, ხელისუფლებას გაეცნო თავისი პოზიცია! ეს არ არის აბსურდი?! ეს არ არის აბსურდების თეატრი?! ეს არ არის პოლიტიკურად ანგაჟირებული მიტინგი?!

– საით მიანი შნებთ?

– საბოლოო ჯამში, ზაზა სარალიძე გამოყენებულ იქნა საიმისოდ, რომ ერთი მუჭა ანგაჟირებული პოლიტიკოსების ჯგუფს რევანში მოეწყო პრემიერ-მინისტრისთვის! ზაზა სარალიძე გადაეხვია და ჩაეხუტა კვირიკაშვილს. იმიტომ, რომ ეს მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო! მას სჭირდებოდა ხელისუფლების პოზიციის გაგება. ზაზა სარალიძემ ორჯერ მიმართა მომიტინგეებს, ჩემი თხოვნაა, მოვუსმინოთო. ძალიან გთხოვთ, მოვუსმინოთ პრემიერ-მინისტრსო და რეაქცია რა იყო, იცით?!

– რა?

– ზაზა სარალიძეს დაუსტვინეს. მე ვიდექი ხალხში და ვუყურებდი, როგორ დასცინოდნენ, მოვუსმინოთ არა კიდევ ისო... რამდენიმეს რომ მივმართე, აბა თქვენ აქ რისთვის ხართ მოსულები, ზაზას მხარდასაჭერად არ ხართ მოსულები-თქო? თითი რომ ჰქონდა პირში ჩაყოფილი სასტვენად, ის თითები ჩამოიღო რამდენიმე „ვერზილამ“! აი, ეს სიტუაცია იყო შექმნილი!

– რა იყო გუშინდელი აქციის მთავარი გზავნილი?

– გუშინ იქ დარჩენილმა ნაციონალებმა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სულში ჩააფურთხეს ზაზა სარალიძეს! ეს არ იყო პრემიერ-მინისტრის საწინააღმდეგო ქმედება, ეს იყო ზაზა სარალიძის თხოვნის საწინააღმდეგოდ წასვლა! ამის მერე ვინმე დამიმტკიცებს მე, რომ ის ხალხი იქ ზაზას უფლებების დასაცავად არის მისული?! არა, ჩემო კარგო! ზაზას შვილის უფლებების დასაცავად მისული ვიყავით მე და ჩემი შვილები და კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი! ხოლო ვინც იქ დარჩა და დღეს კიდევ ცდილობს ამ თემის გამოყენებას, ისინი სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც მიტინგზე ასე პირდაპირ სულში ჩააფურთხა ზაზა სარალიძეს! ზაზას მკვდარ შვილს!

– სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. შესაძლოა უმართავი პროცესების განვითარება. ზაზა სარალიძე საუბრობს, რომ ის აღარავის ენდობა, არც პრემიერ-მინისტრს, არც შს მინისტრს, არც პარლამენტს. მაშინ ვინ უნდა გამოიძიოს საქმე, ან სად ხედავთ გამოსავალს სიტუაციის განსამუხტად?

– მხოლოდ მას შემდეგ გავაკეთებ კომენტარს, როდესაც ზაზა სარალიძე ჩამოყალიბდება და იტყვის, რა უნდა! წინა დღეს დააყენეს პირობები პროკურორის გადადგომა, საპარლამენტო კომისიის შექმნა, ხელმეორედ გამოძიება, ეს ყველაფერი არის დაკმაყოფილებული! ახლა თქვას ზაზა სარალიძემ, რა უნდა?! რისთვის იბრძვის?!

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის თურმე ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრია. თუ ახლა ზაზა სარალიძე არის ერთ-ერთი ლიდერი ნაციონალური მოძრაობის და ატარებს მიტინგებს სისტემის შესაცვლელად თუ ხელისუფლების დასამხობად, მაპატიეთ, მაგრამ მე მის მხარდამჭერი არა ვარ ამ საქმეში!

– მისი პოლიტიკური სიმპათიები ნამდვილად ვერ გადაფარავს იმას, რომ შვილი მოუკლეს და სამართალს ეძებს.

– ამ ყველაფერმა პოლიტიკური ელფერი მიიღო. ვეცდებით როგორმე, მამამისისგან დავიცვათ საკუთარი შვილი და დავიცვათ დათოს უფლებები! მკვლელი უნდა იყოს დასჯილი, საქმე ბოლომდე გამოძიებული. თვითონ მართოს მიტინგები და ხელისუფლების დამხობაზე ილაპარაკოს! აი, ეს არის ჩემი პოზიცია, ადამიანის, რომელიც ერთ-ერთი პირველი მივედი აქციაზე, რომ მის გვერდზე დავმდგარიყავი.

– რამდენად ფეთქებადსაშიშია სიტუაცია? რამდენად შეეშალა ხელისუფლებას, როდესაც აქამდე მიიყვანა საქმე?

– აქ არ არის ხელისუფლების შეცდომებზე საუბარი. პროკურატურა იძიებდა ამ საქმეს და ის, რომ სასამართლოში მოსამართლემ ობიექტურად თუ სუბიექტურად გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელმაც დაძაბა ქვეყანაში სიტუაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ ორივე სტრუქტურა არ არის მზად საიმისოდ, რომ იმუშაოს ასეთ თემებზე. ფაქტია, რომ მოსამართლემ გამოიტანა სრულიად აბსურდული გადაწყვეტილება. რომელიც რატომღაც ძალიან მოსწონს ზაზა სარალიძეს!

– რატომ აბსურდული?

– ადამიანი, რომელსაც უმტკიცდებოდა მისი შვილის მკვლელობა, ზაზა სარალიძემ მხარი დაუჭირა სასამართლოს, რომ გაემართლებინათ!

– ზაზა სარალიძე მიიჩნევს რომ მისი შვილის მკვლელი სხვაა, რომ ის დაუსჯელია.

– სხვა ვინ? ერთი?! 12 ჭრილობა ერთმა მიაყენა?! და ეს არ არის მკვლელი?!

– ანუ რა სიტუაცია გვაქვს?

– ჩვეულებრივი სიტუაციაა, როდესაც რაღაცა იგეგმება, იქ აუცილებლად საჭირო არის საფუძველი. ეს სასამართლო დამნაშავეა იმაში, რომ მან არ გააკეთა ყველაფერი საიმისოდ, რომ ეს თემა უკან დაბრუნებულიყო ძიებაში. ანუ სასამართლომ ხელი შეუწყო ამ პროცესების ესკალაციას. სწორედ ამიტომ არის ალბათ ზაზა სარალიძე და მისი მხარდამჭერი ნაციონალური მოძრაობა ძალიან კმაყოფილი მოსამართლით.

„ხელისუფლება არეულობის მოწყობას აპირებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბას არავინ არ აპირებს. არეულობის მომწყობები და პროვოკატორები „ქართულ ოცნებაში“ მოიკითხონ. 31 მაისს და 1 ივნისს აქციიდან რამდენიმე შემოგზავნილი პროვოკატორი გავაძევეთ.

ჩვენი ლოზუნგია „ნუ მოკლავ, აღასრულე სამართალი“. ამ ლოზუნგის ქვეშ შეკრებილმა ხალხმა რატომ უნდა დაარღვიოს კანონი? კარგი იქნება თუ ბატონი კალაძე ადეკვატურად შეაფასებს ვითარებას და პროვოკაციული განცხადებების გაკეთებისგან თავს შეიკავებს.

ის არის დედაქალაქის მერი, მან კეთილი უნდა ინებოს და მოქალაქეებს მისცეს საშუალება, თავისუფლად დაფიქსირონ თავიანთი პოზიცია.

– კალაძემ ეს როგორ უნდა უზრუნველყოს?

– პირველ რიგში, თავი უნდა დაანებოს პროვოკაციულ განცხადებებს და უარი თქვას პროვოკატორების შემოგზავნაზე. მათი მხრიდან ეს იქნება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ამ მზაკვრულ გეგმაზე ხელს თუ არ აიღებენ, ხალხი გასცემს მათ საკადრის პასუხს. „ქართული ოცნება“ უნდა აცნობიერებდეს იმას, რომ კონტრაქციების მოწყობით სიტუაციას მხოლოდ გაამწვავებენ.

ხალხი შვილმოკლულ მამას უცხადებს სოლიდარობას და ამას უწყობენ კონტრაქციას. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს. ხელისუფლება მიდის პროვოკაციაზე.

ამ დღეებში პარლამენტის წინ იმდენი ხალხი გამოვიდა, რომ მათ ვერანაირი კონტრაქცია ვერ შეაშინებს და დაშლის. ასე რომ, ფრთხილად იყოს ხელისუფლება და ქართველები ერთმანეთთან არ დააპირისპიროს.

კონტრაქციის მოწყობის ნაცვლად, უმჯობესია, იმ ხალხს დაატოვებინონ პოსტები, რომლებიც სამართლის აღსრულებას უშლიან ხელს. თანამდებობაზე ისეთი ხალხი მოიყვანონ, ვინც სამართალს აღასრულებს.

„ქართულ ოცნებას“ შეიძლება აღარ ახსოვს, მაგრამ ისინი 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით. ხალხმა მათ ამიტომ მისცა ხმა.

სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად მივიღეთ ბევრი შვილმოკლული ოჯახი. ზემოთაც გითხარით, რომ ზაზა სარალიძის მხარდამჭერ აქციაზე ყოველი მეორე გამომსვლელი შვილმოკლული მამა და დედაა. ისინი, სარალიძის მსგავსად, ამაოდ ეძებენ სამართალს.

სწორედ ამ უსამართლობამ და ხელისუფლების უმოქმედობამ გამოიყვანა ხალხი ქუჩაში. აქციაზე მყოფ ადამიანებს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები აქვთ, მაგრამ ისინი ერთმანეთის მიმართ არიან სოლიდარულები. მე ვარ ამაყი, ამ სოლიდარობას რომ ვუყურებ.

– ზემოთ თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ, რომ აქციაზე პროვოკაციის მოწყობას ჰქონდა ადგილი. შეგიძლიათ გვითხრათ, რა სახის პროვოკაციებს ჰქონდა ადგილი?

– აქციაზე იდგა ათეულობით ათასი ადამიანი. მათ ერთმანეთისთვის ხელი აქვთ ჩაკიდებული. მათ შორის დაპირისპირება არ მოხდება, მაგრამ არსებობენ პროვოკატორები. ისინი შემოაგზავნეს აქციაზე და ხალხს შეურაცხყოფას აყენებდნენ.

– რა სახის შეურაცხყოფას აყენებდნენ?

– სიტყვიერს. აქციის მონაწილეებს უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ და დაპირისპირების გამოწვევას ცდილობდნენ. მსგავსი პროვოკაციების მოწყობა ხელისუფლებამ სხვა აქციებზეცსცადა, მაგრამ არ გამოუვიდათ. არც ახლა გამოუვათ, ხელისუფლებამ კი მიიღო ის, რაც დაიმსახურა.

„ქართული ოცნება“ უკვე დიდი ხანია, ხალხს აღარ უსმენს. სწორედ ამის გამოძახილი იყო ის, რაც კვირიკაშვილს დაემართა. ყველამ ნახა, როგორ „პატივცემულად“ მოექცნენ აქციის მონაწილეები პრემიერს.

– თქვენი აზრით. ასეთი მოქცევა კარგი საქციელი იყო?

– კარგი არ იყო, მაგრამ ეს არის ხელისუფლების ბრალი. საზოგადოება რომ პრემიერს აღარ უსმენს, ეს ქვეყნისთვის დიდი სირცხვილია. ყველა ხელისუფლებამ გაითავისოს, რომ ხალხს უნდა მოუსმინონ. ვიდრე ხალხის მოსმენას არ ისწავლიან, მშვიდად ვერ წავლენ.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას, მოუსმინოს ხალხს და პროვოკაციების მოწყობაზე უარი თქვან. არ გაბედონ კონტრაქციის მოწყობა და ქართველების ერთმანეთთან დაპირისპირება. „ქართულმა ოცნებამ“ ისედაც ძალიან გაამწარა ხალხი და ასეთ რამეს უკვე აღარ აპატიებენ.

ახლა ყველაფერი „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული. ან აღასრულებენ სამართალს, ან ხალხის რისხვა დაატყდებათ. ასეულობით სტუდენტი მოვიდა აქციაზე. მათი ქუჩაში გამოყვანა ყოველთვის ჭირდა, მაგრამ ახლა ისინი თავად გამოვიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უკვე ძალიან ცუდად აქვს საქმე.

ლევან ჩაჩუა: „მთავარია სისტემური ცვლილებები და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები“

„მივმართავ ზაზა სარალიძეს – ერთად ვიმოქმედოთ ცივი გონებით!“

მარიამ მჭედლიშვილი

მახთილმსაჯულებისა და სხვა სფეროებში ახსებული ჯიზისის გამო საქართველოს ჩამდენიმე ქალაქში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები. ამ საკითხზე „ახალი თაობა" ესაუბრა სინდისის ყოფილ პატიმარს, მოძრაობა „ქართული იდეის" ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– პარლამენტის თავმჯდომარემ ახალი სტანდარტის დამკვიდრება უწოდა მთავარი პროკურორის გადადგომასა და პარლამენტში ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გამოძიების მიზნით პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას.

– ირაკლი კობახიძემ გაიმეორა ის, რაც მანამდე თქვა ბიძინა ივანიშვილმა. „ქართული ოცნება“ საზოგადოებას არწმუნებს, რომ ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებული ძალაა და თავისი სტანდარტები შემოაქვს. სინამდვილეში, მათ შორის სხვაობა ფაქტობრივად არ არსებობს. უფრო მეტიც, იკვეთება ნაცქოცური გარიგება. ის, რასაც პროკურატურა და სასამართლო აკეთებენ ხორავას ქუჩაზე და პანკისში მომხდარი მკვლელობების თაობაზე, თავზარდამცემია. განსაკუთრებით გამაოგნებელია სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მკვლელი არავინ ყოფილა. ეს იწვევს ხალხის აზვირთებას. პროტესტს იყენებენ პოლიტიკური ძალები.

– პოლიტიკურ ძალებს შორის გარიგება რომ იყოს, 2020 წლისთვის იქნებოდა ლოგიკური.

– ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ დაიწყოს მართვადი ქაოსი. დიდი არეულობა უნდა დამთავრდეს ნაცქოცური მმართველობის დამყარებით. აქციებს სკოლის ბავშვებიც კი შეუერთდნენ. სახელმწიფოში, სადაც ადამიანებს ტოტალურად აკონტროლებენ და უსმენენ კიდეც, ასეთი რამ როგორ ეწყობა? „ოცნების“ ხელისუფლების თანხმობის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. ვერც ნაცმოძრაობა გამოიყენებდა პროკურატურისა და სასამართლოს თემებს სათავისოდ.

– ქუჩაში ძალიან ბევრი აღშფოთებული ადამიანია გამოსული. იქნებ ხელისუფლებამ პროტესტი დაინახა და გადაწყვეტილებებს ამის მიხედვით იღებს.

– ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც ხალხს სისტემის შეცვლასა და სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა. ამის მაგივრად მივიღეთ ღრმა კოაბიტაცია ნაციონალურ მოძრაობასთან, ახალი სისხლიანი ფაქტები და საპროტესტო აქციები, რომელსაც იყენებს ნაციონალური მოძრაობა. შოთაძის ადვოკატი არა ვარ, მაგრამ მისი შეცვლა, რასაც შეიძლება კიდევ რამდენიმე მინისტრის ჩანაცვლება მოჰყვეს, თავის მოტყუება იქნება. ამით მივიღებთ ნამდვილ ნაცქოცურ მთავრობას.

– გარიგებას მთავრობის გადახალისებისას ვარაუდობთ?

– დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. ქოცებთან ერთად ხელისუფლებაში ნაციონალები მოვლენ. მათ სხვა სახელი ერქმევათ. დააკვირდით პოლიტიკოსების განცხადებებს ამ საკითხებზე. სისტემის შეცვლას არავინ მოითხოვს, არც ივანიშვილს აკრიტიკებენ. ჩვენი თანამოქალაქეების მძიმე ტრაგედიების ფონზე აქციებზე მოითხოვეს მთავარი პროკურორის წასვლა, მერე – მთავრობის შეცვლა.

– ამას საზოგადოებაც მოითხოვს. ეს ადამიანები სისტემის შეცვლასაც ითხოვენ.

– ამ ადამიანების გულწრფელობასა და პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება. მე ვაკრიტიკებ ნაწილებად დაშლილ ნაციონალურ მოძრაობასა და მასთან გარიგებულ მმართველ პარტიას. მინდა მივმართო ზაზა სარალიძეს. ბატონო ზაზა, ღმერთმა აცხონოს თქვენი შვილის სული. გვერდით დაგიდგებათ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. პოლიტპატიმრობა მაქვს გამოვლილი და გამოვცადე წინა ხელისუფლების წნეხი. ვიმოქმედოთ ცივი გონებით. თქვენთვის ძნელია ემოციების მოთოკვა, მაგრამ ეცადეთ. გირჩევთ, მიაკითხოთ კათოლიკოს-პატრიარქს. ის განუგეშებთ. ნუ გამოაყენებინებთ თქვენი ოჯახის ტრაგედიას გაქნილ და უსინდისო პოლიტიკურ ძალებს! საზოგადოებამ სისტემის შეცვლა უნდა მოვითხოვოთ, რათა ამ საზიზღარმა სისტემამ აღარ მოგვიკლას გირგვლიანი, სარალიძე, მაჩალიკაშვილი, დადუნაშვილი და სხვები. ამისათვის საჭიროა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამას თუ არ მივაღწიეთ, მკვლელები არ დაისჯებიან, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა კი ერთმანეთში სიამტკბილობას გააგრძელებენ. ისეთი სიტუაცია იქმნება, რომელიც 2003 წელს იყო. ჩვენ არც ახალი ვარდების რევოლუცია გვინდა და არც 2012 წელი. „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ თავიანთი სახე გვაჩვენეს. მათ ხელში ბევრი ახალგაზრდა დაიხოცა, ბევრი უდანაშაულოდ დაგვაპატიმრეს. მასობრივი სიღატაკე და ემიგრაცია გაიზარდა, ხალხს სულიერადაც ებრძვიან. ამ 27-წლიან გაუგებრობასა და სხვის მარიონეტობას თავი უნდა დავაღწიოთ. ამისათვის აუცილებელია სისტემური ცვლილებები, რომელიც ყველამ უნდა მოვითხოვოთ.

გულიკო ბალაძე

„რუსეთმა შეიძლება ირანსაც მოსთხოვოს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება“

ვახტანგ მაისაია: „ჩვენმა დიპლომატიამ უკეთ უნდა იმუშაოს“

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ სირიის რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების ფაქტს აფასებს.

– ბატონო ვახტანგ, კრემლის გავლენითა და ორგანიზებით სირიამ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელ სუბიექტებად აღიარა. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

– სირიის მიერ ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარება, ერთი მხრივ, პოლიტიკური თავხედობის ფაქტია. მეორე მხრივ, რუსეთი ამით საქართველოზე ზეწოლას ამყარებს. ნატოს სამიტი ახლოვდება, სადაც შეიძლება ჩვენმა ქვეყანამ ნატოში გაწევრიანებისთვის სამოქმედო გეგმა – მაპი მიიღოს. ამიტომ, როგორც ჩანს, რუსეთი ერთგვარი პრევენციული ტიპის ღონისძიებებისთვის ემზადება.

რუსეთი ცდილობს, კავკასიის რეგიონში სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოს. აქ ისეთი ნიუანსია, სავარაუდოდ, რუსეთი აპირებს წამოიწყოს ე.წ. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების ახალი ტალღა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, სუბსტსაჰარის აფრიკიდან და სპარსეთის ყურიდან.

– ჩვენ ერთხელ ვთქვით, რუსეთს აღიარების პოლიტიკა ჩაუვარდაო. ეტყობა, კარგად მოემზადა.

– ჩაუვარდა იმიტომ, რომ მაშინ ბაშარ ასადის რეჟიმის მდგომარეობა ძალიან სავალალო იყო. ფაქტობრივად, ბაშარ ასადი სირიის ტერიტორიების მხოლოდ 40%-ს აკონტროლებდა. ახლა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა.

– მაშინ, როდესაც სირიის მთელი ტერიტორია გადაქცეულია აღმოსავლეთ-დასავლეთის საბრძოლო პოლიგონად, ასადს რაღას არ აბრალებენ, ასადის რეჟიმმა ქვეყანა, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა – კადრებში ჩანს, რომ მხოლოდ ქვების ხროვაა დარჩენილი – ასადს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებისთვის სცხელა, თუ სხვა გზა არ ჰქონდა, პუტინის ნებას უნდა დაჰყოლოდა?

– გეთანხმებით, ასადის რეჟიმი არის საშინელება, რომელიც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ-ბიოლოგიური იარაღის გამოყენებასაც არ ერიდება, იყენებს ისეთ ტაქტიკას, როგორც რუსეთი ჩეჩნების მიმართ, რაც გასაგებია. მხოლოდ სირიის მონაცემებით, ამ ომში უკვე დაიღუპა 150 ათასი სირიელი. სამწუხაროდ, მსხვერპლს არავინ ითვლის, ბრძოლების დროს რამდენი იღუპება.

– ლტოლვილების რაოდენობა რამდენია კიდევ, ვინ მოთვლის.

– ეს ცალკე საკითხია, ზოგადად, 3 მილიონამდე ლტოლვილია, მაგრამ აქ ერთი ნიუანსია, ასადის რეჟიმმა ბოლო პერიოდში პოზიციები გაიმყარა. ის ახლა აკონტროლებს სირიის ტერიტორიის 60%-ს. ასადმა დამასკოს მიმდებარე ტერიტორიები დაიშისა და ზომიერი ჯიჰადისტური ფორმირებებისაგან გაწმინდა. გარკვეულწილად, სერიოზული დარტყმა მიაყენა პრაომავრიკულ ძალებს ჰანას პროვინციასა და დამასკოს მიდამოებში.

ასადის რეჟიმმა რუსებისა და ირანელების მხარდაჭერით სამხრეთ ტერიტორიებიც მიიერთა, პოზიციები გაიმყარა, თავის ტერიტორიაზე კონტროლი გააძლიერა.

რეალურად, ასადის რეჟიმს ასათვისებელი დარჩა მხოლოდ ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე პროვინციები და ის ტერიტორია, რომელიც თურქეთმა ჩრდილოეთით დაიპყრო, მას უჭირავს, როგორც ბუფერული ზონა. ფაქტობრივად, კრემლმა ასადის რეჟიმს ჩვენი ტერიტორიების აღიარება მოსთხოვა იმ წვლილის სანაცვლოდ, რაც აქვს რუსეთს ასადის რეჟიმის განმტკიცებაში – გარდა ამისა, ასადის რეჟიმის დასახმარებლად, აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის მხრიდან სირიაში 5 მსხვილი ჰუმანიტარული კოლონა გაიგზავნა. ერთი წლის განმავლობაში ასადის რეჟიმსა და აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმს შორის ინტენსიური ურთიერთობები მყარდებოდა.

ამავე დროს, აფხაზეთში სირიელი ლტოლვილები ცხოვრობენ, ძირითადად, აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის. ასადის რეჟიმს აფხაზურ-ადიღეური დიასპორა პირდაპირ უჭერს მხარს და მთავარი დასაყრდენი ძალაა მისთვის. მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 2 მილიონს შეადგენს. ამდენად, ასადის აღიარება მოულოდნელი არ იყო. აპრილის თვეში თქვენ გითხარით, რომ ასადის ასეთი ქმედება მოსალოდნელი იყო.

– როგორ უნდა ემოქმედა ხელისუფლებას ასადის ამ აღიარებამდე? რუსეთს ტვირთების გატარება უნდა საქართველოს ტერიტორიაზე და როკის გვირაბი გაუხსნა, სანამ შეთანხმებას რუსეთი მოაწერდა ხელს, მანამდე საქართველომ მოაწერა, კიდევ რა უნდოდა, რა უნდა ეღონა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეს არ მომხდარიყო?

– რა უნდა ეღონა? ჩვენ ასადის რეჟიმთან კონტაქტები არ გვაქვს. ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენ ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგე ბანაკში ვიყავით დასავლური კოალიციის შემადგენლობაში, რომელიც შექმნა აშშ-მა და ასადის წინააღმდეგ იყო მიმართული.

– ომში ასადის წინააღმდეგ პირდაპირ ხომ არ ვმონაწილეობდით?

– პირდაპირ თუ ირიბად, ჩვენ მაინც ვმონაწილეობდით. ჩვენ, ფაქტობრივად, ვიყავით ბაშარ ასადის მოწინააღმდეგე ბანაკში. ბაშარ ასადის მოკავშირეები იყვნენ ირანი და რუსეთი, რომელიც ჩვენი მტერია, მას ჩვენი ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული. პრინციპში სავსებით ლოგიკური და გასაგები ნაბიჯია. უბრალოდ, აქ მთავარი ისაა, რომ არსებობს საშიშროება, რუსეთმა აღიარების პოლიტიკის გაფართოება წამოიწყოს.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– იმიტომ, რომ შეიძლება რუსეთმა ირანსაც მოსთხოვოს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება. ბაშარ ასადის რეჟიმის უახლოესი მოკავშირეა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰესბოლამ გაიმარჯვა ლიბანში და მას გააჩნია უმრავლესობა. შეიძლება ლიბანის მიერ აღიარების საკითხიც დადგეს, რომ ვთქვათ, ლიბანმა აღიაროს ცხინვალისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმები. ეს უკვე ცალკე პრობლემური თემა იქნება.

შეიძლება რუსებმა იემენის მთავრობასაც მიმართონ, რომ მანაც აღიაროს. ლიბიაში ჰაფთარის დროებითი მთავრობაა. იგივე შეიძლება წამოიწყოს რუსეთმა ლიბიის, სუდანისა და სომალეთთან, რადგან ამ ტერიტორიებზე რუსული გავლენა იზრდება. მე დავწერე სპეციალური სტატია, რუსული გავლენა სუბსტსაჰარას აფრიკაზე რამდენად დიდია. ამიტომ არ არის გამორიცხული, აღიარების პოლიტიკა გააფართოვოს ამ არეალში.

– რას შეცვლის ეს აღიარება?

– თუ რუსეთმა აღიარების პოლიტიკის გაფართოება დაიწყო და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების აღიარების პოლიტიკა გააფართოვა აღმოსავლეთის, იგივე მაღრიბის სუბსტსაფარის, რეგიონებსა და არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიების ხარჯზე. ამან შეიძლება უფრო სერიოზული გავლენა იქონიოს.

– რა გავლენა ექნება?

– რუსეთი ახლა რაოდენობაზე მუშაობს. არ აქვს მნიშვნელობა ხარისხს, რუსეთისთვის მთავარია, ჩვენი ტერიტორიების „დამოუკიდებლობის“ მაღიარებელი ქვეყნების კრიტიკული რაოდენობა შეაგროვოს. შემდეგ რუსეთმა შეიძლება დასვას აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების საკითხი. ევრაზიულ კავშირთან ირანმა გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. დგება საკითხი ევრაზიულ კავშირში ირანის შეყვანაზეც.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაც იზრდება, რომელიც შეიძლება გადაიქცეს სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად, რადგან უკვე აპირებენ სამხედრო ელემენტების შექმნას. რუსეთი აქტიურობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ დასავლეთი მასზე ახორციელებს შეტევასა და ზეწოლას.

– ჩვენი ტერიტორიების აღიარების რუსულ გეგმებს რა შეიძლება დავუპირისპიროთ?

– აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, სუბსტსაფარის ქვეყნებთან იმის საწინააღმდეგოდ, რომ რუსეთმა შეიძლება დაიწყოს აღიარების პოლიტიკის გაფართოება, რასაც ხელი უნდა შევუშალოთ.

– რატომღაც მგონია, რომ ირანი არ წავა ჩვენი ტერიტორიების აღიარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან კავშირშია.

– ღმერთმა ქნას. იმედია, ირანი არ წავა აღიარებაზე. თუმცა, ამას დრო გვიჩვენებს. ირანთანაც ინტენსიური ურთიერთობები უნდა გვქონდეს. ჩვენმა დიპლომატიურმა კორპუსმა ამაზე აქტიურად უნდა იმუშაოს.

– ასადის რეჟიმის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება, ყველაზე მეტად ცხინვალსა და სოხუმში გაუხარდათ, აღიარებას ზეიმობდნენ. მათი სიხარული გასაკვირი არც არის, მაგრამ რას მოუტანს ეს აღიარება მათ?

– ხარისხობრივად არაფერს, რაოდენობრივად მაღიარებლების რიცხვის გაზრდა მათთვის სასიხარულო მომენტია. თუ ვინმეს ილუზია ჰქონდა, რომ აფხაზები მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებიან, ჩვენ ხელიდან ეს შანსი გავუშვით ზვიად გამსახურდიას დროს. მაშინ დიდი შანსი გვქონდა.

ზვიად გამსახურდია გახლდათ დიდი ავტორიტეტი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი იყო მთავარი გარანტი, რომ სეპარატისტულ რეჟიმთან მოლაპარაკება შედგებოდა. დაამხეს ზვიად გამსახურდია და მაშინვე საომარი მოქმედებები დაიწყო.

– ანუ ქვეყნისთვის რა ვითარება იქმნება?

– უსაფრთხოების ჩიხში ვართ. ისედაც აფხაზეთისა და ცხინვალის თემა მეოთხე-მეხუთე რიგშია გადასული.

– რუსეთთან მოლაპარაკებებზე რას იტყვით? რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსები მუდმივად რუსეთთან მოლაპარაკებებზე აკეთებენ აქცენტს.

– რაზე უნდა მოველაპარაკოთ, ჩვენი ტერიტორიების აღიარების უკან წაღებას არ აპირებენ.

ენგურჰესი ამუშავდა, თუმცა სასწრაფო რეაბილიტაცია ესაჭიროება



7-დღიანი პაუზის შემდეგ ენგურჰესი სრული დატვირთვით გუშინ ამუშავდა.

მომხდარი ავარიის გამო თბილისისა და რეგიონების ნაწილი რამდენიმე დღის წინ დაახლოებით ორი საათით ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ენერგოსისტემაში შექმნილი დეფიციტის შევსებას სახელმწიფო თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიით ახდენდა.

როგორც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა აღნიშნავს, ენგურჰესს სასწრაფო რეაბილიტაცია ესაჭიროება. თუმცა ჰიდროელექტროსადგურის დიდი ხნით გაჩერება შეუძლებელია, რადგან ქვეყანას ელექტროენერგიის დეფიციტი აქვს.

– ენგურჰესს ესაჭიროება სასწრაფოდ რეაბილიტაცია. ეს არის ჰიდროელექტროსადგურის მთავარი პრობლემა. მომავალი წლის თებერვალში აღბათ დაიწყება რეაბილიტაცია და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს ვადა, რათა მოხდეს ყველა კვანძის განახლება. სასურველი იქნებოდა სადგურის ხანგრძლივად გაჩერება და სრული რეაბილიტაციის ჩატარება, თუმცა, ეს დაახლოებით 4-დან 5 თვემდე გაგრძელდება, რისი ფუფუნებაც არ გვაქვს, რადგან ენგურჰესიდან საქართველოს ენერგეტიკის 45% მარაგდება. აქედან გამომდინარე, ძალიან გაუჭირდება ქვეყანას, რომ ეს სადგური გააჩეროს და მისი სრული რეაბილიტაცია ჩაატაროს, – აცხადებს დავით მირცხულავა.

იმ შემთხვევაში, თუ ენგურჰესის მუშაობა ერთი წლის განმავლობაში შეჩერდება, სახელმწიფოს 4 მლრდ კილოვატ/საათი ელექტროენერგიის შემოტანა მოუწევს. ამას ემატება დაახლოებით 2 მლრდ კილოვატ/საათის ელექტროენერგია, რომლითაც ენერგოდეფიციტის შევსება ხდება. მთლიანობაში კი სახელმწიფოს 6 მლრდ კილოვატ/ საათის იმპორტი დასჭირდება, რაშიც დაახლოებით 740 მლნ ლარის გადახდაა საჭირო.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი გამოსავალს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში ხედავს.

– უამრავი თანხა გადის ქვეყნიდან, როდესაც სახელმწიფოს ელექტროენერგიის ყიდვა უხდება. ეს უზარმაზარი ქეშაუთია ქვეყნიდან, იგივე თანხები შეიძლება ქვეყნის შიგნით აღმშენებლობას მოხმარდეს. თუ სადგურები არ აშენდა მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ჰესების მშენებლობას საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება და რეალურად ქვეყანა მიგვყავს ელექტროდეფიციტის არნახულ ზრდასთან, – განაცხადა დავით მირცხულავამ.

ჰესის გაჩერების აუცილებლობაზე საუბრობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი გია არაბიძეც. მისი თქმით, მატულობს რისკები, რომ ავარიები ენგურჰესზე შეიძლება გახშირდეს. არაბიძე ამბობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გვირაბის პრობლემის შესახებ სრული ინფორმაცია აქვთ, რაც 2019 წელს მოგვარდება.

– ქვეყანამ უნდა შეძლოს და ჰესი მინიმუმ 6 თვით გააჩეროს, ყველა ჭანჭიკი შეამოწმოს. აქამდე თითქოს ამის საჭიროებას ვერ ვხედავდით იმიტომ, რომ, ავად თუ კარგად, ვმუშაობდით. ერთი კვირის წინ მომხდარმა სიტუაციამ გვაჩვენა, რომ ყველგან არის საჭირო მისვლა და ყველაფერი უნდა ვნახოთ დეტალურად, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ენგურჰესმა სრული დატვირთვით შეძლოს მუშაობა, – აცხადებს გია არაბიძე.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც არაბიძე ყურადღებას ამახვილებს, ჰუდონჰესის მშენებლობაა:

– ჰუდონჰესის მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანია ენგურჰესისთვის. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება ჰუდონთან დაკავშირებით. თუ ჰუდონას არ ვაშენებთ, უნდა ვიშოვოთ თანხები, რომ გაკეთდეს სრულფასოვანი კონსერვაცია იმის, რაც დღეს არის გაკეთებული. დღეს დაწყებული და მიტოვებული მშენებლობა უფრო მეტ ზიანს აყენებს ბუნებას, ვიდრე ის, რომ ჰესი აშენებულიყო და გაშვებულიყო.

როგორც სტუ-ის დეკანი ამბობს, რომ ენგურჰესისთვის ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის მშენებლობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

– ენგურში არის წყლის შემოდინება, სადგური გაჩერებულია და წყალი იღვრება. მე, რომ მქონდეს იქვე 600 მეგავატის სიმძლავრის ჰიდრომააკუმულირებელი სადგური, ერთ წვეთ წყალსაც არ დავღვრი. როდესაც ენერგიის მოხმარების ვარდნები გვაქვს ღამის პერიოდში, შეგვიძლია წყალი წავიღოთ და ისევ დავაბრუნო ენგურის წყალსაცავში, ამით კი ჰიდრომააკუმულირებელი სადგურით ვიმუშაოთ. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი ენერგოსტაბიულურობისთვის, – აღნიშნავს გია არაბიძე.

შეგახსენებთ, რომ „ენგურჰესი კავკასიაში ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურია. ის 1970-იან წლებში აშენდა და ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალია მსოფლიოში. ამ დროისათვის საწარმოს დადგმული სიმძლავრე 1.300 მეგავატია, რაც საქართველოს მოთხოვნის ნახევარს აკმაყოფილებს.

კომერსანტი

მოსახლეობისთვის უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება პრობლემაა

კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში სატელეკომუნიკაციო მომსახურებასთან დაკავშირებით 2017 წლის განმავლობაში 75 საჩივარი შევიდა, საიდანაც 72 შემთხვევაში კომისიამ დარღვევა გამოავლინა და საჩივარი დააკმაყოფილა.

26 საჩივარი შევიდა სერვისის მიმწოდებელი კომპანიების მხრიდან მომხმარებლის არასათანადო ინფორმირებულობაზე.

კომისიაში 24 საჩივარი შეტანილია მომხმარებლებმა მომსახურების საფასურის არასწორად დარიცხვის გამო, საიდანაც 18 დაკმაყოფილდა. მომსახურების პაკეტის ცვლილების გამო შესული 10 საჩივრიდან 10-ვე დააკმაყოფილა. ასევე 8-დან 6 შემთხვევაში კომისიამ სამართლიანად ჩათვალა მოქალაქეების პრეტენზია, რომლებმაც საჩივარი სატელეკომუნიკაციო ანძებისგან გამოწვეული რადიაციის გამო შეიტანეს.

არასრულწლოვნებზე მედიის მავნე ზემოქმედების ბრალდებით შეტანილი 6 საჩივრიდან კი კომისიამ 3 სამართლიანად ჩათვალა. ჯამში, 2017 წლის განმავლობაში მარეგულირებელ კომისიაში 303 საჩივარი შევიდა, საიდანაც 267 დაკმაყოფილდა.

კომერსანტი

ვინ ასაქმებს ყველაზე მეტ ადამიანს საქართველოში

2017 წლის ტოპ-10 ყველაზე მსხვილ დამსაქმებელს შორის 4 კომერციული ბანკია.

ამის შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაშია აღნიშნული. ეს ბანკებია „თიბისი ბანკი“, „კრედო“, „ლიბერთი“ და „საქართველოს ბანკი“.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ ინფორმაცია თითოეულ კომპანიაში დასაქმებულ პირთა ზუსტი რიცხოვნობის შესახებ, რადგან „საქსტატის“ ცნობით, ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. თუმცა, ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკით, კომერციულ ბანკებში (16 ბანკში) გასულ წლის მონაცემებით 24,853 თანამშრომელი მუშაობდა. კონკრეტულად რამდენი მუშაობს ამ 4 ბანკში, ეს მონაცემი უცნობია.

აღნიშნული ბანკების გარდა, წინასწარი მონაცემებით, დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობის მიხედვით 2017 წლის კერძო სექტორის ტოპ-10 კომპანიას შორის მოხვდა ასევე : სს „ენერგო-პრო ჯორჯია“; სს „ნიკორა ტრეიდი“; სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“; შპს „ავერსი-ფარმა“; შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ და შპს „ჯორჯიან მანგანეზი“.

რაც შეეხება აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობას, ზოგიერთ მათგანს საკუთარ გვერდზე აქვს მითითებული ეს ინფორმაცია. კერძოდ, როგორც „ავერსის“ ოფიციალურ გვერდზეა აღნიშნული, კომპანია 1994 წელს დაარსდა და საქართველოში 9.000 სამუშაო ადგილი შექმნა; „ნიკორას“ 4.262 თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული; „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასაქმებული ჰყავს 5.00 ადამიანი; „ჯორჯიან მანგანეზს“ კი მართვს „ჯორჯიან ემერიქან ელოისი“, რომელსაც 6 ათასამდე ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ „საქსტატის“ მიერ მოწოდებული მონაცემები ყველაზე მსხვილი დამსაქმებლების შესახებ რეიტინგის მიხედვით არ არის დალაგებული.

ბპნ

დღევანდელი აქციები საზოგადოების მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილია

– ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები (აქციები) არის ძველი პოლიტიკური და მმართველობითი „შესაძლებლობების“ ნაყოფი, მათი დემაგოგიისა და პოპულიზმის შედეგი, საზოგადოების მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილი, – ასე ეხმაურება ეკონომიკის დოქტორი, რატი აბულაძე, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის გამო გამართულ აქციას, სადაც ათასობით ადამიანი სამართლიანობის მოთხოვნით გამოვიდა.

როგორც აბულაძე აცხადებს, მართალია, ძველი პოლიტიკური გარემო კარგი ბუნებისაა, თუმცა, შეზღუდული ენერგიითა და ზღვრული შესაძლებლობებით. სწორედ ამის შედეგია, რომ ქვეყანაში:

სიმართლე რომ დაამტკიცო, ან ფული უნდა გქონდეს, ანდა თანამდებობა.

დაბალია აკადემიზმი, გაუფასურებულია პოლიტიკური სიტყვა, შესუსტებული და იგნორირებულია ხალხის ხმა;

უცვლელია მართვის წესები, უცვლელია საკადრო პოლიტიკა (ხოლო არსებული საკადრო პოლიტიკა „გოსტის“ სტანდარტებისაა);

ახალგაზრდები და აკადემიური რესურსები იგნორირებულია პოლიტიკური ამბიციებით;

შრომის, აქტივობის, ცოდნისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, დაბალია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა;

– ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სახელმწიფო პრობლემების დაძლევისა და სისტემის ძლიერების გზა გადის ახალ პოლიტიკურ და ენერგიულ მმართველობით რესურსზე.

ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ ხელისუფლება „ცვლილებებს ცდილობს“ იგივე ხალხითა და მოძველებული პოლიტიკური ტექნოლოგიით.

ამიტომაც გვაქვს იგივე კონსტრუქციის პოლიტიკა, იგივე ეკონომიკური შედეგები, იგივე პრობლემები, იგივე „შემოსავლები“ და იგივე სოციალური მდგომარეობა.

„მიღებული“ სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გამოძახილი კი არის ის საპროტესტო გამოსვლები, რომელიც ქვეყანაში გვაქვს, – აცხადებს აბულაძე.

მისივე განცხადებით, ზღვრული შესაძლებლობების დაჟანგულ პოლიტიკურ სისტემას სასწრაფოდ სჭირდება ახალი რესურსი, ახალი მიდგომები, ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიები, საზოგადოებრივად აქტიური პირები, პასუხისმგებლობის აღების ძალა და უნარი (ასეთი მიდგომა ქვეყანას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიცოცხლეს შთაბერავს).

რატი აბულაძის შეფასებით, დღეს, საჭიროა პოლიტიკური ამბიციები გვერდზე გადაიდოს და ხელი შეეწყოს ახალ და აქტიურ ძალებს მოვიდნენ პოლიტიკურ და მმართველობით პლატფორმებზე. არსებითია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სისტემის ძლიერებას დააბრუნებს მხოლოდ ახალგაზრდა ინტელექტუალები და აკადემიური პირები.

– კითხვაზე სად არის ასეთი რესურსი? პასუხი ერთმნიშვნელოვანია. იგი არის საქართველოში (თბილისშიც და რეგიონებშიც). ესენი არიან მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე სხვადასხვა სფეროს ახალგაზრდები, საზოგადოებრივ ასპარეზზე მყოფი აქტიური პირები, ახალი მიდგომებითა და ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიებით მოქმედი ქარიზმატული ძალა, – აცხადებს რატი აბულაძე.

კომერსანტი

ირაკლი ბერძენაძე: „ახალი რეგულაციებით მევახშეების საქმიანობას შევუწყობთ ხელს“

– საფინანსო სექტორში მიღებული ახალი რეგულაციები დროულია, თუმცა, ვფიქრობ, მოკლე ვადაში და სწრაფად მოხდა მათი გაჟღერება და მიღება. კომპანიებს არ მიეცათ საშუალება, მომზადებული შეხვედროდნენ რეგულაციებს, – განაცხადა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ფინანსისტმა, „არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ბერძენაძემ.

– რეგულაციები და ნებისმიერი ტიპის რეფორმები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის და ჭარბვალიანობის შესამცირებლად, არის ორმაგად მნიშვნელოვანი. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი რეგულაციები ამკაცრებს სესხის გაცემის პროცედურებს და ვიღებთ ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემებს, კერძოდ შემოსავლების შემცირებას.

გრძელვადიან პერიოდში ჭარბვალიანობა შემცირდება, თუმცა რამდენად სამართლიანია აღნიშნული ცვლილებები ბიზნესსექტორისთვის? საპროცენტო განაკვეთის შემცირება ცუდად აისახება ონლაინსაფინანსო ორგანიზაციებზე. ვინაიდან 6-თვიან პერიოდში შესაძლოა მათი რაოდენობა შემცირდეს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მათი არსებობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. გარდა ამისა, მინდა შევეხო მევახშეებსაც.

მევახშეები ნებისმიერ დროს არსებობდნენ და იარსებებენ, თუმცა დღეს ჩვენ ახალი რეგულაციებით მევახშეების საქმიანობას შევუწყობთ ხელს, – ამბობს ირაკლი ბერძენაძე.

კომერსანტი

ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა

ლევან დადუნაშვილის განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილ გ.ბ-ს 10 წელი და 6 თვე მიესაჯა, დავით სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ გ.ჯ.-ს კი – 9 წელი და 9 თვე

ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნის, ლევან დადუნაშვილის, განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილ გ.ბ-ს სასამართლომ 10 წელი 6 თვე მიუსაჯა, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში არასრულწლოვან დავით სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ გ.ჯ.-ს – 9 წელი და 9 თვე.

გადაწყვეტილება მოსამართლე ეკა არეშიძემ 1 ივნისს გამოაცხადა.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ბრალდებულებთან მიმართებით დადგენილი საბოლოო სასჯელის ვადა შემცირებულია.

კერძოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებული გ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ ლევან დადუნაშვილის განზრახ მკვლელობაში და სასჯელის ვადა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, მას სასჯელის ვადა ერთი მეოთხედით შეუმცირდა და საბოლოოდ 10 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, გ.ჯ.-ს, მას სასჯელის სახით თავდაპირველად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, სასჯელის ვადა ერთი მეოთხედით შეუმცირდა და საბოლოოდ 9 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

საქალაქო სასამართლომ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. მოსამართლე ეკა არეშიძის გადაწყვეტილებით, გ.ბ, რომელსაც ბრალი როგორც ლევან დადუნაშვილის, ასევე დავით სარალიძის განზრახ მკვლელობაში ედებოდა, მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობის ეპიზოდში იქნა დამნაშავედ ცნობილი. რაც შეეხება დავით სარალიძის მკვლელობის ეპიზოდს, სასამართლომ გ.ბ. ამ ნაწილში სრულად გაამართლა.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, რომელსაც პროკურატურა დავით სარალიძის განზრახ მკვლელობას ედავებოდა, სასამართლომ გ.ჯ.-ს ბრალი გადაუკვალიფიცირა და სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ.

ბრალდებულებს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაკავების მომენტიდან დაეწყებათ და მათ ასევე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვლებათ დაკავების მომენტიდან პატიმრობაში ყოფნის პერიოდიც.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის 4-თვიანი სასამართლო განხილვა 30 მაისს დასრულდა. ვინაიდან საქმეში არასრულწლოვნები ფიგურირებენ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომები დახურული იყო.

* * *

ლევან დადუნაშვილის დედამ, ნათია საყვარელიძემ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო, მისი შვილის მკვლელობაში ბრალდებულს უფრო მეტი წლით მისჯოდა თავისუფლების აღკვეთა.

– შეიძლებოდა, მეტი ყოფილიყო და ზოგადად თუ გაინტერესებთ, შემიძლია გითხრათ, რომ ადამიანი რასაც აკეთებს, ყველაფერს თავისი თავისთვის აკეთებს. ეტყობა, ძალიან უნდოდათ ეს შედეგი დამნაშავეებს, ისეთი გულმოდგინებით არიან ნამუშევარი ხორავას ქუჩაზე. ამ ტრაგედიას არ ჰყავს არც დაზარალებული და არც დამნაშავე. აქ ჩვენ ყველანი დაზარალებულები ვართ. ჩვენ დავზარალდით ერთი ძალიან დიდი ბოროტების წინაშე, – განაცხადა ნათია საყვარელიძემ.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ „ქრონიკასთან“ კომენტარი გააკეთა მსჯავრდებულის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ.

მისი თქმით, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, მოსამართლემ ვერ გაბედა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ უფრო მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა.

ამასთანავე, კაკაბაძემ აღნიშნა, რომ პროკურატურამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დამადასტურებელი საბუთი, რითაც დაამტკიცებდა დავით სარალიძის მკვლელობის დასრულების ფაქტს.

– ამით დარჩა მთავარი კითხვა პასუხგაუცემელი – ვინ მოკლა დავით სარალიძე? – განაცხადა მსჯავრდებულის ადვოკატმა.

* * *

საქართველოს მთავარი პროკურატურა განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

– ბრალდების მხარე არ ეთანხმება აღნიშნულ განაჩენს როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში და მას თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

* * *

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე, ახალგამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით, საქმეზე გამტყუნებული ორი ბრალდებულის გამოკითხვა იგეგმება.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, გამომძიებლები არასრულწლოვნებთან ვიზიტს 4 ივნისს გეგმავენ.

სააგენტოს ინფორმირებულმა წყარომ უამბო, რომ კითხვები ძირითადად ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ სასამართლოში დაკითხვისას გაჟღერებულ ინფორმაციას შეეხება, რომელიც მირზა სუბელიანს ეხება.

კერძოდ, ბრალდებულმა სასამართლოში დაკითხვისას თქვა, რომ მან კალანდიებთან სახლში მისული მირზა სუბელიანი ნახა, მას მიესალმა კიდეც, რის შემდეგაც ის მიხეილ კალანდიამ ოთახიდან გაიყვანა და უთხრა: „ხომ იცი, ბიძაჩემი რა მაგარი პროკურორია, ყველაფერს დაალაგებს“. გამოძიების კითხვებიც, სავარაუდოდ, სწორედ გ.ჯ.-ს ჩვენების ამ ეპიზოდს შეეხება.

ვინაიდან აღნიშნულ ბრალდებულს გამოძიების ეტაპზე ჩვენება არ ჰქონდა მიცემული, სასამართლოში დაკითხვისას გაჟღერებული ეს ინფორმაცია გამოძიებისთვის ახალი გარემოება აღმოჩნდა, რაც გამოძიების ამ მიმართულებას საფუძვლად დაედო.

ახალგამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით, 31 მაისს გვიანობამდე იკითხებოდნენ შსს-ში პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანი და ასევე ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებული მიხეილ კალანდია.

გარდა ამისა, შსს-ში გამოკითხვაზე იმყოფებოდნენ ერთ-ერთი ბრალდებულის, გ.ჯ.-ს, ოჯახის წევრები, მათ შორის, მამა.

ავარია ბათუმში — დაშავებულია 2 ადამიანი

ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა. შედეგად დაშავდა 2 პირი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ექსპერტიზის დასკვნების დამახინჯება და სასამართლოს შედეგებზე ზემოქმედება — შსს ხორავაზე მკვლელობის საქმის ახალ დეტალებს იძიებს

1 ივნისს ხორავას ქუჩაზე მკვლელობის პროცესთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა.

განცხადება კრიმინალური პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ბორცვაძემ გააკეთა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი იძიებს სისხლის სამართლის საქმეს იმ დამატებითი გარემოებების დასადგენად, რომლებიც მკვლელობის ძირითადი საქმის სასამართლოში განხილვისას გამოიკვეთა.

კერძოდ, გამოძიების მიზანია, დაადგინოს ის შესაბამისი პირები, რომლებიც მუდმივად, ფარულად ცდილობდნენ ფაქტების (მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნების) დამახინჯებას და ფინანსური თუ სხვა გავლენების გამოყენებით სასამართლო განხილვის შედეგებზე ზემოქმედებას.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამგვარი ქმედებებით ისინი გამოძიების ვერსიის დანგრევასა და გარკვეული პირებისთვის პასუხისმგებლობის არიდებას ცდილობდნენ.

გუშინ უკვე გამოიკითხა რამდენიმე პირი. გამოკითხვები და სხვა საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მკვლელობის საქმეზე გუშინ გამოაცხადა განაჩენი, რომელიც, როგორც ცნობილია, პროკურატურის მიერ გასაჩივრებული იქნება ზემდგომ ინსტანციაში.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობის საქმის გამოძიების საწყის ეტაპზევე დაადგინა და დააკავა ის პირები, რომლებმაც ბრალდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული დაფარეს.

ამჟამად მიმდინარე გამოძიების ფარგლებშიც, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაადგენს ყველა იმ პირს, რომლებმაც ამ უმძიმესი დანაშაულის სასამართლო განხილვის შედეგებზე პირდაპირ ან ირიბად მოახდინეს გავლენა, – განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.

ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლომერ ჟორჟოლიანი ძიუდოისტ სოსო წელაურის დაჭრისთვის დაკავებულია

31 მაისს, ღამით, ძიუდოს ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ლომერ ჟორჟოლიანსა და ძიუდოისტებს შორის სისხლიანი დაპირისპირება მოხდა.

ინციდენტი მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. შედეგად, ძიუდოისტი სოსო წელაური დაიჭრა.

თვითმხილველების განცხადებით, ლომერ ჟორჟოლიანმა, უშუალოდ დაჭრა ერთ-ერთი პირი პატრულისა და ათეულობით მოწმის თანდასწრებით.

ლომერ ჟორჟოლიანი დაკავებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ძიუდოისტებს შორის მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 31 მაისს, საღამოს, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე პატრულირების დროს, რამდენიმე მოჩხუბარი მამაკაცი შენიშნეს.

პატრულ-ინსპექტორები დაუყოვნებლივ შეეცადნენ მათ შორის დაპირისპირების განმუხტვას, როდესაც ერთ-ერთმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა.

გასროლის შემდეგ, ინციდენტში მონაწილე პირების ერთი ნაწილი მიიმალა, ხოლო

1985 წელს დაბადებული ლ.ჟ. პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლით ადგილზევე დააკავა.

ფიზიკური დაპირისპირებისას დაშავებული ორი პირი – 1990 წელს დაბადებული ლ.ყ. და 1993 წელს დაბადებული გ.გ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოჩენილი და ამოღებულია „ტე-ტე“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც გადაგზავნილია შესაბამის ექსპერტიზაზე.

იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ დავით აღმაშენებლის გამზირიდან გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში მიყვანილ იქნა 1983 წელს დაბადებული ი.ნ., რომელსაც, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს, – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

იტალიის ახალმა პრემიერმა ჯუზეპე კონტემ ფიცი დადო

იტალიაში ჯუზეპე კონტეს ახალი მთავრობა დამტკიცდა. კონტემ უკვე დადო ფიცი და ოფიციალურად გახდა პრემიერ-მინისტრი.

ახალმა პრემიერმა მინისტრთა ახალი კაბინეტი ქვეყნის პრეზიდენტ სერჯიო მატარელასთან შეთანხმებით უკვე წარადგინა.

მანამდე იტალიის მთავრობის ფორმირების მცდელობა ჩაიშალა მას შემდეგ, რაც პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ჯუზეპე კონტემ პრეზიდენტს დაუბრუნა მთავრობის ფორმირების მანდატი.

იტალიაში, ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, უმრავლესობა ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა, თუმცა, ნაციონალისტურ-კონსერვატიულმა და პოპულისტურმა პარტიებმა, „ჩრდილოეთის ლიგამ“ და „ხუთმა ვარსკვლავმა“, შექმნეს კოალიცია და პრემიერ-მინისტრად წარადგინეს იურისტი ჯუზეპე კონტე.

უთანხმოების მიზეზად იქცა კონტეს მიერ ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე პაოლო სავონას წარდგენა. პრეზიდენტმა მატარელამ ამ კანდიდატურას ვეტო დაადო. 81 წლის სავონა ევროინტეგრაციის აქტიური მოწინააღმდეგეა. იტალიის პრეზიდენტის განცხადებით, მან, როგორც საზოგადოებისა და ეკონომიკის სტაბილურობის გარანტმა, სავონას კანდიდატურა უარყო, რადგან ეკონომიკის მინისტრად მისი დანიშვნა საფრთხეს შეუქმნიდა ევროზონის წევრობას.

სერჯო მატარელას განცხადებითვე, იტალიაში პოპულისტური მთავრობის შექმნის პერსპექტივამ შეაშფოთა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები. პოპულისტური პარტია „ხუთი ვარსკვლავი“ პრეზიდენტ მატარელას იმპიჩმენტით დაემუქრა, ნაციონალისტურმა „ჩრდილოეთის ლიგამ“ კი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვა.

მატარელამ იურისტ ჯუზეპე კონტეს მთავრობის ფორმირება 23 მაისს დაავალა. იტალიაში საპარლამენტო არჩევნები 4 მარტს გაიმართა.

კალეიდოსკოპი

ავსტრალიელი გოგონა ენერგეტიკულმა სასმელმა კრუნჩხვებში ჩააგდო

ავსტრალიის სანშაინ-კოსტის რაიონის მცხოვრებმა დონა ჰონანმა ისაუბრა კრუნჩხვებზე, რომელიც მის გოგონას დაემართა ენერგეტიკული სასმელის მიღების შემდეგ.

ქალი თავისი 14 წლის გოგონას ოთახში შევიდა და ნახა, რომ ის შეუჩერებლად კანკალებდა.

– კბილები უკაწკაწებდა, კუნთები უთრთოდა და მთელი სხეული ისე უკანკალებდა, თითქოს დენმა დაარტყა, – განაცხადა ჰონანმა.

მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა და სანამ ექიმები მივიდოდნენ, შვილის საწოლის გვერდით ცარიელი ნახევარი ლიტრის ტევადობის ენერგეტიკული სასმელის ქილა აღმოაჩინა.

როდესაც ქალმა ამის შესახებ ექიმებს აცნობა, მათ აღნიშნეს, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ამ მიზეზით მოზარდებთან გამოძახების მეოთხე შემთხვევა იყო.

– მათ ეწყებათ ტახიკარდია და კრუნჩხვები, რაც ზოგჯერ ლეტალურად მთავრდება, – განუცხადეს ქალს ექიმებმა. მათ გოგონას მდგომარეობის დასტაბილურება მოახერხეს.

გოგონამ საკუთარი არჩევანი იმით ახსნა, რომ მას ყველა სვამს.

მამაკაცმა საკუთარ სხეულში ექვსი მობილური ტელეფონი დამალა

მამაკაცის ნაწლავებიდან, რომელიც ისრაელის ქალაქ იერუსალიმისთვის შემოვლებულ კედელზე გადაძრომას ცდილობდა, ექვსი მობილური ტელეფონი ამოიღეს.



დამრღვევმა კედლის გადალახვა რამდენიმე დღის წინ სცადა. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ის შენიშნეს, დაკითხეს და გაუშვეს. ერთი დღის შემდეგ ის დაბრუნდა, ისევ გადაძვრა კედელზე და იგივე მესაზღვრეებს გადააწყდა. ამჯერად, მამაკაცი ციხეში გადაიყვანეს.

მობილური ტელეფონები მას ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს, რომელიც უტარდება ყველას, ვისაც ციხეში აგზავნიან. სასაზღვრო პოლიციაში ვარაუდობენ, რომ დამრღვევი თავიდანვე იმედოვნებდა, რომ მას დაუპატიმრებდნენ და ციხეში გადაიყვანდნენ, რათა შემდეგ ტელეფონები სხვა პატიმრებისთვის დაერიგებინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოსკოვი და ფხენიანი უმაღლეს დონეზე შეხვედრაზე შეთანხმდნენ

ჩრდილოეთ კორეა და რუსეთი მიმდინარე წლის განმავლობაში უმაღლესი დონის შეხვედრის ჩატარებაზე შეთანხმდნენ. შეხვედრა მიეძღვნება ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 70-ე წლისთავს.

აღნიშნულ შეთანხმებას 31 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვისა და კიმ ჩენ ინის მოლაპარაკებებისას მიაღწიეს ფხენიანში. მხარეები შეთანხმდნენ, გააქტიურონ ურთიერთობები უმაღლეს დონეზე და თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში.

ლავროვთან შეხვედრისას კიმ ჩენ ინმა დაადასტურა, რომ ჩრდილოეთ კორეის მისწრაფება ბირთვული განიარაღებისკენ უცვლელია. მან ასევე გამოხატა სურვილი, აწარმოოს კონსტრუქციული დიალოგი შეერთებულ შტატებთან როგორც აღნიშნულ, ისე ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის.

შეხვედრა ლავროვსა და კიმ ჩენ ინს შორის სეულსა და ფხენიანს შორის ბოლო დროს გააქტიურებული დიალოგის ფონზე გაიმართა.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერების შეხვედრაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა დაადასტურა, რომ კიმ ჩენ ინს ლავროვმა ვლადიმერ პუტინის გზავნილი გადასცა.

ბორის გერმანს 60-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

უკრაინის უშიშროების სამსახურმა ბაბჩენკოზე ტერაქტის ორგანიზატორის ვინაობა დაასახელა. ეს ბორის გერმანია, უკრაინულ-გერმანული საერთო საწარმო „შმაისერის“ გენერალური დირექტორი. „შმაისერი“ ერთადერთი კერძო საწარმოა უკრაინაში, რომელიც იარაღს მასობრივად უშვებს. გერმანიას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა უკრაინის თავდაცვის სამინისტროსთან და მას იარაღითა და ტყვია-წამლით ამარაგებდა.

კიევის სასამართლომ ბორის გერმანს 60-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თავად გერმანმა რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირი აღიარა, მაგრამ კატეგორიულად უარყო, რომ ტერაქტების ორგანიზატორია.

– მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ, – თქვა მან.

გერმანმა მთავარი ორგანიზატორის ვინაობაც დაასახელა. ეს ვინმე პივოვაროვია, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის მოქალაქეა.

– პივოვაროვი პუტინის ფონდის თანამშრომელია. ის კიევში ტერაქტებსა და მასობრივ არეულობებს გეგმავდა, – თქვა გერმანმა.

პედრო სანჩესი ესპანეთის ახალი პრემიერი გახდა

ესპანეთის პარლამენტმა ქვეყნის მთავრობას, რომელსაც მარიანო რახოი ხელმძღვანელობდა, უნდობლობა გამოუცხადა.

ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე დეპუტატებმა მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის“ ლიდერი პედრო სანჩესი აირჩიეს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი 180-მა დეპუტატმა დაუჭირა, 169 წინააღმდეგი წავიდა, ერთმა კი თავი შეიკავა.

უნდობლობის გამოცხადების მიზეზი გახდა ესპანური სასამართლოს გადაწყვეტილება „გიურტელის“ ანტიკორუფციულ საქმეზე, რომლის ფარგლებშიც მარიანო რახოის „სახალხო პარტიასთან“ დაკავშირებული ათეულობით პირი სასამართლომ თაღლითობაში, გადასახადების გადახდისგან თავის არიდებასა და ფულის გათეთრებაში დამნაშავეებად ცნო.

შოიგუ ლიბერმანს შეხვდა

რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ თავის ისრაელელ კოლეგა ლიბერმანს შეხვდა.

შოიგუმ სირიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა, ლიბერმანმა კი ირანის აგრესიულ პოლიტიკაზე გაამახვილა ყურადღება.

– ირანი მთელ რეგიონს უქმნის საფრთხეს, – თქვა ლიბერმანმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● სილამაზის სალონს ესაჭროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

ბორჯღალოსნებმა ბარბაროსები დაამარცხეს

საქართველო-ფრანგი ბარბაროსები 16:15

თბილისი. დინამო არენა

წყნარი ოკეანის კუნძულებზე გამგზავრებამდე ბორჯღალოსნებმა დინამო არენაზე ფრანგი ბარბაროსები მიიღეს და დაძაბულ ბრძოლაში 16:15 დაამარცხეს.

ეს იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი და საქართველომ სპეციალური, რეტროს სტილში შესრულებული მაისურებით ითამაშეს.

ეს თამაში გულშემატკივართათვის ერთგვარი საჩუქარი იყო, რაშიც ბარბაროსების სათამაშო სტილიც დაგვეხმარა. დინამო არენაზე 30.000 ქომაგი შეიკრიბა, რომლებმაც დაძაბული, ღამაზი ეპიზოდებით დახუნძლული შეხვედრა იხილა და ბორჯღალოსნების გამარჯვებით გაიხარა.

რადგან თამაში არაოფიციალური იყო, მილთონ ჰეიგმა ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა და მეტოქესთან შეთანხმებით, განაცხადში 25 მოთამაშე შეიყვანა. წმინდა სპორტული თვალსაზრისით, ოფიციალურ შეხვედრებამდე 9 დღით ადრე, ამ მატჩის გამართვა უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ის ხელს შეუწყობს ხარვეზების აღმოჩენას და გამოსწორებას, სქემების დამუშავებას და გუნდის შეთამაშებას.

სტუმრებმა თამაში მაღალ ტემპში, „ბარბაროსულად“ დაიწყეს და საწყის 15 წუთში დაცვაში თამაში გვაიძულეს. მეტოქე ხელდახელ ცდილობდა ჩვენი დაცვის ზღუდის გარღვევას, თუმცა ბორჯღალოსნებმა მათ ტემპს აღღო აუღეს და საიმედო დაცვით ფრანგები ჩვენს ღელოს არ გააკარეს.

მეტოქის ნახევარზე რომ გადავედით კარის წინ ჯარიმის შესრულების უფლება მივიღეთ და თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, სოსო მათიაშვილმა 35 მეტრიდან ანგარიში გახსნა. რამდენიმე წუთში სტუმრები უკვე შერკინებაში დავაჯარიმეთ და სოსომ 30 მეტრიდან ანგარიში 6:0 გახადა.

მასპინძლები ინიციატივას დაეუფლნენ და 31-ე წუთზე პირველად შეეედით მეტოქის 22-ში. ბორჯღალოსნებს ღელოს გატანის 2 რეალური შანსი ჰქონდათ. პირველ ჯერზე დერეფნიდან ხელდახელ შევუტიეთ და თამაზ მჭედლიძემ და გიორგი კვესელაძემ ხაზი გაჭრეს, საქმეში შალვა მამუკაშვილი ჩაერთო და ღელომდე 3 მეტრი დააკლდა, იქ ბარბაროსებმა თამაშგარედან ითამაშეს და სიტუაცია განმუხტეს.

ამჯერად ბორჯღალოსნებმა კარში აღარ დაარტყეს და მორიგი დერეფნის შემდეგ ოთარ გიორგაძემ ხაზი გაჭრა. მას ღელომდე უკვე სანტიმეტრები დააკლდა, საქმეში გურამ შენგელია ჩაერთო და თითქოს ღელოც გაიტანა, მაგრამ რეფერიმ ბურთის და მიწის კონტაქტი ვერ დაინახა.

სამწუხაროდ, შემდეგ ჯერზე ბურთი დავკარგეთ და 90-მეტრიანი კონტრშეტევა მივიღეთ. გამოცდილმა მერაბ კვირიკაშვილმა გარდაუვალი ღელოსგან გვიხსნა, მაგრამ დროებით. შესვენების წინ 10-მეტრიან წყვეტილთან ხაზი გაიჭრა და ოფლოუდის შემდეგ ალბა პლასინმა ღელომდე ირბინა, ხოლო მაქსიმ მატიმ გარდასახვა შეასრულა და ფრანგებს ტაიმი 7:6 მოაგებინა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გუნდებმა სახიფათო შეტევები გაცვალეს, 51-ე წუთზე კი პირველი ქართული ღელოც გავიდა. ხელდახელ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში მათიაშვილმა მცველი ცრუ მოძრაობაზე დაიჭირა, მეორე მბოჭავს ამოუხტა და ხელით ღელოს ხაზს მისწვდა. გარდასახვა არაზუსტი იყო და ბარბაროსებმა პასუხად მრავალფაზიანი შეტევა წამოიწყეს, რასაც ჯარიმა მოყვა და 64-ე წუთზე სხვაობა მინიმუმამდე დავიდა – 11:10.

გარკვეული დროით კვლავ დაცვაში მოგვიწია თამაში, რადგან ფეხით გადაკიდებული ყველა ბურთი ფრანგების ნადავლი ხდებოდა, თუმცა მერე მათაც დაუშვეს შეცდომა და ბორჯღალოსნებმა მეტოქის 5-მეტრიან წყვეტილთან შერკინების უფლება მიიღეს. 2 ჯარიმის შემდეგ ბურთი ცენტრისკენ გაიშალა, 2 დარტყმის შემდეგ მარჯვენა ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა, სადაც შალვა სუთიაშვილმა ზედ კიდის ხაზთან სანდრო თოდუა მოამარაგა და მანაც მცველი ღელოში ბურთთან ერთად შეიტანა.

გარდასახვა არაზუსტი იყო და დასკვნითი წუთები დაძაბული გამოდგა. თავგანწირული დაცვით ერთ ეპიზოდში ღელოში შესულ მეტოქეს ბურთი არ დავამიწებინეთ, თუმცა შერკინების შემდეგ ხაზი მაინც გაიჭრა და ღელოც გავიდა. მატის გარდასახვის შესრულება არცთუ რთული პოზიციიდან უწევდა, თუმცა წნეხის ქვეშ მიზანმა უმტყუნა და დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეზე, საქართველომ ფრანგი ბარბაროსები 16:15 დაამარცხა.

ახლა ბორჯღალოსნები წყნარი ოკეანის თასზე ტონგასა (9 ივნისი) და ფიჯისთან (16 ივნისი), ასევე იაპონიასთან (23 ივნისი) ტესტმატჩის გასამართად გაემგზავრნენ და მილთონ ჰეიგი თვლის, რომ ეს თამაში ოფიციალური შეხვედრების წინ დიდ დახმარებას გაუწევს.

მილთონ ჰეიგი:

– ამ შეხვედრაში ბევრი ახალგაზრდა მორაგბე ჩავრთეთ და მივეცით იმის საშუალება, რომ თავი გამოეჩინათ. ფიზიკურად ძალიან მძიმე მატჩი იყო. გახარებული ვართ, რომ მოვიგეთ. ფრანგი ბარბაროსები ძლიერი გუნდია და მათ საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჩამოიყვანეს. დაცვის მხრივ რაღაც სქემებმა არ იმუშავა, თუმცა, საერთო ჯამში, ნამდვილად კარგი მოსამზადებელი შეხვედრა გამოვიდა. ახალგაზრდებით კმაყოფილი ვარ და მათი უმეტესობა წყნარი ოკეანის ტურნეზე მიგვყავს. ახლა ექიმთა შტაბი ამოწმებს, ვინმეს ტრავმა ხომ არ აქვს და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ. ისეკი, ცუცქირიძემ, თეთრაშვილმა, მელიქიძემა და გიორგაძემ დამაჯერებლად ითამაშეს. ისეთი მატჩი არ გამოვიდა, სადაც ნაკრების ღერძს თავის სრულად წარმოჩენის შანსი ექნებოდა. 9 და 10 ნომრებს ბურთი იშვიათად ჰქონდათ და იგივე ჯინჭველაშვილს თავის გამოჩენის შანსი ნაკლებად ეძლეოდა. მჭედლიძის დაბრუნებით კმაყოფილი ვარ. მას ნაკრებში დაახლოებით 1 წელია არ უთამაშია და ჩვენს ახალ სქემებთან ადაპტაცია მოახერხა. მჯერა, რომ თაზო სამომავლოდ თავისი ენერგიით და კარგი ფიზიკური მომზადებით შუამარბის პოზიციაზე სარგებელს მოგვიტანს.

გიორგი ნემსაძე, კაპიტანი:

– მსგავსება ჩვენს მომავალ მეტოქეებს შორის ნამდვილად არის და ფრანგ ბარბაროსებთან კარგი გამოცდა გავიარეთ, თუმცა ვფიქრობ, იგივე ფიჯის უკეთესი ხარისხი ექნება. იმედი მაქვს, ოკეანეთშიც ასევე წარმატებულად ვითამაშებთ და ქომაგებს გავახარებთ.

დავიდ ორადუ, ფრანგი ბარბაროსების მთავარი მწვრთნელი:

– არ ვიცი, თქვენ როგორ უყურებთ, მაგრამ ეს, ფრანგი ბარბაროსების ძალიან ძლიერი ნაკრები იყო. გვიხარია, რომ საქართველოს დარ სერიოზულ და პროგრესირებად გუნდთან თამაშის საშუალება მოგვეცა და კარგი თამაშიც ვიხილეთ. თქვენი გუნდიდან 14 ნომერს გამოვარჩევთ, რომელმაც ბევრი პრობლემა შეგვიქმნა.

კრისტოფ დავიდი, კაპიტანი:

– კარგი გუნდი დაგვხვდა, რასაც ველოდით კიდეც. ქართველები ჯანიანი ბიჭები არიან და ფიზიკურად რთული დაპირისპირება იყო. ჩვენ სწორედ ასეთი შერკინებისთვის ვემზადებოდით.

ჯიმი ტაბიძე: „ნაკრებმა შედეგისა და თამაშის ხარისხიც გამოასწორა“

საფეხბურთო კლუბ საბურთალოს ვეგბვერდზე დედაქალაქური გუნდის ყოფილი ფეხბურთელისა და ამჟამად რუსეთის პრემიერლიგაში მოთამაშე **ჯიმი ტაბიძის** ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– რუსეთის პრემიერლიგაში დასრულდა სეზონი. როდიდან დაიწყებს გუნდი მზადებას ახალი ჩემპიონატისთვის?

– ივნისის შუა რიცხვებში უფაში შევიკრიბებით, ადგილზე ერთი კვირა მოვემზადებით, შემდეგ კი შეკრებები დაიწყება. კლუბს 3 მოსამზადებელი ციკლი აქვს დაგეგმილი. სამივე შეკრება ავსტრიაში შედგება.

– როგორი სეზონი გამოდგა როგორც კლუბისთვის, ასევე თქვენთვის?

– კლუბისთვის ძალიან წარმატებული სეზონი იყო. უფამ წლეულს ისტორიულ შედეგს მიაღწია, გუნდი ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა და ევროპა ლიგის საგზური მოიპოვა. ყველანი გახარებულები და კმაყოფილები არიან. რაც შეეხება ჩემს თამაშს – 30 მატჩიდან 20 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. იყო მატჩები, სადაც ხელი ტრავმებმა შემიშალა. ეს პირველი სეზონი იყო, როდესაც სრულად ვითამაშე რუსეთის პირველობაზე. საერთო ჯამში, ნორმალური სეზონი მქონდა.

– უფას მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. ხომ არ იცით, ვინ იქნება კლუბის ახალი სპეციალისტი?

– სერგეი სემაკს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ მე უფაში ვთამაშობ. იგი სამწვრთნელო კარიერას ზენიტში გააგრძელებს. მასთან კარგი დამოკიდებულება მქონდა, გვერდში მედგა და მენდობოდა. სიმართლე გითხრათ, ჯერჯეროობით არ ვიცი, ვინ იქნება უფას მთავარი მწვრთნელი. ალბათ, ყველაფერი მალე გაირკვევა.

– ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება. არ იყავით „ჯვაროსნების“ შემადგენლობაში გამოძახებული?

– ნაკრებში ვიყავი გამოძახებული, მაგრამ ტრავმა მაწუხებს და ამიტომ ვერ ვემზადები მათთან ერთად. ახლა ვმკურნალობ და იმედია, მალე გამოვჯანმრთელდები.

– ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში, როდესაც საქართველომ ესტონეთს უმასპინძლა, თავი გატანილი გოლით გამოიჩინეთ. როგორი იყო სადებიუტო გოლი ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში?

– სიტყვებით მიჭირს გადმოცემა, ენით აუწერელი სიხარული იყო. ძალიან ბედნიერი და გახარებული ვიყავი. ეს დღე ცხოვრების ბოლომდე არ დამავიწყდება. ყველა მილოცავდა სადებიუტო გოლს ეროვნულ ნაკრებში.

– ნაკრების ბოლოდროინდელ შეხვედრებზე რა აზრის ხართ?

– შესაძლოა, მოწინააღმდეგეები არ გვყავდა ისეთი ძლიერი, მაგრამ ყველა მეტოქე დასაფასებელია. ვფიქრობ, გუნდმა გამოასწორა, როგორც შედეგი, ასევე თამაშის ხარისხი. ვაისის სწორმა მუშაობამ განაპირობა, რომ ბოლო ამხანაგურ შეხვედრებში უკეთესობა შეიმჩნევა. დარწმუნებული ვარ, ნაკრები კიდევ და კიდევ მოუმატებს.

იუპ ჰაინკესი: „სინამდვილეში კარიერა 2013 წელს დავასრულე“

73 წლის გერმანელი სპეციალისტი **იუპ ჰაინკესი** ფეხბურთისგან დაისვენებს. 2013 წელს მისი ნებით წასული ჰაინკესი ისევ მოაბრუნეს ბაიერნის მწვრთნელად. თუმცა, მან საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო – ფეხბურთი მორჩა.

– გახსოვთ თქვენი გადმოფრენა კიოლნიდან მიუნხენში პეტერ ჰერმანთან ერთად? ის მაშინ ცოტა ორჭოფობდა. მაგრამ თქვენ თქვით – არ ინერვიულო, ჩვენ ყველაფერი გამოგვივა.

– შესაძლებელია, ასეც იყო. პეტერი თავიდან ყოველთვის ცოტათი სკეპტიკურია. მე კი ამ თემას ჩემს მეუღლესთან და შვილთან ერთად განვიხილავდი. ჩემს ასაკში ადვილი არ ყოფილა ყველაფრის მიტოვება და სახლიდან მოწყვეტა. მაგრამ მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთად ბევრი რამის შეცვლა შეგვეძლო. მე ძველ ადგილს დავუბრუნდი, სადაც დიდ წარმატებას მივაღწიე და შევეცადე ორგანულად შევრწყმოდი სამუშაოს. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ ყველაფერი გამოგვივიდოდა, ფეხბურთელებსაც ასევე სჯეროდათ ამის.

– კარლ-ჰაინც რუმენიგე ამტკიცებს, რომ თქვენი ერთ-ერთი პირობა მისი ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა იყო ული ჰიონესთან. კმაყოფილი იყავით მათი მუშაობით?

– ულისთან ერთად მე მრავალი წელი ვთამაშობდი ნაკრებში, ხოლო კარლ-ჰაინც რუმენიგემ თავისი პირველი მატჩი ჩემთან ერთად უელსში ჩაატარა. ვფიქრობ, რომ ასეთი კლუბისთვის, როგორიც ბაიერნია, მეტად მნიშვნელოვანია 2 დიდი პიროვნება ერთი მიმართულებით მოძრაობდეს. ჩემთან სახლში შვალმტალეში ბევრი რამ მესმოდა, რაზეც ვფიქრობდი – ასე არ უნდა იყოს. ლაპარაკში, მე ნათლად ვაგრძნობინე ეს. მთლიანობაში, ამის საჭიროება არც ყოფილა, რადგან ოლიმპზე ორივეს ადგილია. მათ ორივეს უზარმაზარი დამსახურება აქვთ კლუბის წინაშე. ვთვლი, რომ ეს დიდი უპირატესობაა, რომ ისინი ასე ჰარმონიულად მუშაობენ ერთად.

– ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტს, რომ თქვენ ზოგჯერ ჰიონესს ულრიხს ეძახდით ულის ნაცვლად. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც არ მოგეწონებოდათ მის ნათქვამში, ასეა?

– თუ ჩვენ სერიოზულად ვლაპარაკობთ, მაშინ მე ულრიხს ვეძახი. მაგრამ ხშირად ამაში ხუმრობის ნატამალია. მისი მეუღლე სიუზენიც ულრიხს ეძახის. მეუღლეები კი ჩვენ მიმართ ყოველთვის მკაცრნი არიან. ალბათ, ეს მე მათგან გადავიღე.

– ის კი საპასუხოდ იოზეფს გეძახდათ?

– კი, ზუსტად ასე ხდებოდა ზოგჯერ.

– ვინ არის თქვენი მთავარი მრჩეველი, თუ საქმე მომავალს ეხება?

– რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე. ასე იყო თავიდანვე. მაგრამ რაც შეეხება მუშაობასა და გუნდს, გადაწყვეტილებებს მე თვითონ ვიღებ.

– ოთხჯერ იმუშავეთ ბაიერნში. მიუნხენი უკვე გახდა თქვენი სახლი?

– პირველად მიუნხენში ჩემს მეუღლესთან ერთად 1987 წელს ჩავედით და ჩვენ უკეთ ვგრძნობდით თავს, ვიდრე სხვაგან. მიუნხენში ყველაფერი მოგვწონს – ქალაქი, ხალხი, გარემო. ტბები, პეიზაჟები... მაშინ ოთხშაბათობით ჩვენ ყოველთვის გვქონდა თავისუფალი დღე. ჩემს მეუღლესთან ერთად ვსაუზმობდით, შემდეგ სასეირნოდ მივდიოდით. ტეგერნეზე, ჰიმზეეზე, შტარნბერგეზეეში და ზოგჯერ ზალცბურგში. თუ მზე ანათებდა, მაშინ უბრალოდ მშვენიერი იყო ასე დასვენება ყოველდღიური ცხოვრებისგან. მაშინ შეგვიყვარდა მიუნხენი. ამიტომ რაღაც მომენტში ეს უკვე მეორე სამშობლოა, სადაც ბრუნდები. რა თქმა უნდა, ჩემს ნამდვილ სამშობლოდ კვლავ ქვედა რეინი რჩება – ჯერ მიონხენგლადბახი, შემდეგ – შვალმტალი.

– რა ოცნებების ახდენა გსურთ კიდევ? მაგალითად, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა თქვენს მეუღლესთან ერთად?

– თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ, მაგრამ რაღაც მომენტში, ხვდებით, რომ უკვე საკმაოდ იმოგზაურეთ. მე ისე ბევრს ვმოგზაურობდი, მაგრამ ძირითადად მხოლოდ სასტუმროებს და სტადიონებს ვხედავდი. ამასთან, შენ ყოველთვის გარკვეული ზეწოლის ქვეშ იმყოფები, ფეხბურთელის რანგშიც და მწვრთნელის რანგშიც. ამაშია განსხვავება. ჩემი მეუღლეც უკვე აღარ განიცდის სიამოვნებას მოგზაურობისგან. ბოლო წლები მე სახლში ვიყავი და ეს მშვენიერია. რისი გაკეთებაც მსურდა, ყველაფერს ვაკეთებდი და არაფერი არ მენატრებოდა.



ამასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოვშორდი. მე არ მჭირდება ყოველდღე ტელევიზორში ან გაზეთებში გამოჩენა. ერთხელ ლევერკუზენში ჩემპიონთა ლიგის მატჩს დავესწარი. მატჩამდე 2 საათით ადრე მე უკვე ვიპ-ზონაში ვიმყოფებოდი და იქ ერთი წამი თავისუფალი დრო არ მქონია. ასეთი რამ უკვე აღარ მსურდა და ამიტომ მატჩებს მეტი აღარ დავსწრებივარ.

– როგორ შეაფასებდით ამჟამინდელ გუნდს, თუ მას 2013 წლის გუნდს შეადარებდით?

– ბევრი რამის გათვალისწინებაა საჭირო. ახლა პრაქტიკულად უკვე ფეხბურთელების სხვა თაობაა. ტურნირიც სხვაა, თუნდაც იმიტომ, რომ იქ მე 5 ინგლისურ კლუბს ვხედავ, რომლებმაც ბოლო წლებში 3 მილიარდი ევროს ინვესტიციები გააკეთეს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი შემადგენლობა იმაზე უკეთესია, რაც 2012-13 წლის სეზონში გახლდათ. ის უფრო მეტ ალტერნატიულ ვარიანტებს გვთავაზობს. თუმცა, ამის გამო შეუძლებელია გარანტირებულად ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ. კონკურენცია ახლა უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ იყო.

– ფეხბურთელებსაც ახლა უფრო მეტი ურთიერთობა სჭირდებათ მწვრთნელთან, ვიდრე ეს ადრე იყო?

– ყოველთვის არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებთანაც საჭიროა მეტი ურთიერთობა. შვაინშტაიგერიც ასეთი ფეხბურთელი იყო. ის იმ ფეხბურთელად გვევლინებოდა, რომელთანაც ბევრს საუბრობ, რომელსაც კარგად ესმის გუნდის და თამაშის. ჩემი პრეზენტაციის დროს მე უკვე ვთქვი, რომ თომასი კვლავ გახდება ძველი მიულერი.

– და ამ ფაქტმა გახადა მიულერი ასეთი განსაკუთრებული?

– თომასი არა მხოლოდ აცოცხლებს გუნდს, ის კაპიტანია, ის უყვართ არა მხოლოდ მოედანზე, არამედ მოედნის გარეთაც. შეუძლებელია თომას მიულერის გაუთვალისწინებლობა და მის უნარებში ეჭვის შეტანა. ასეთი ფეხბურთელი ევროპაში მეტი არ არის.

– ის გუნდის დამაკავშირებელი რგოლი იყო ნოიერის არყოფნის პერიოდში?

– ეჭვგარეშე! თომასს გუნდში ავტორიტეტი აქვს. მიულერი ბაიერნის ნაწილია. ის არა მხოლოდ წამყვანი ფეხბურთელია, არამედ ისიც, ვისთანაც ასოცირდება მთელი რეგიონი. ეს მისი სამშობლოა, ეს მისი კლუბია. არ შემიძლია წარმოვიდგინო ოდესმე, რომ თომას მიულერი ბაიერნს დატოვებს.

– თქვენს პროფესიაში ყველაფერს მიაღწიეთ. კიდევ გაქვთ მიზნები?

– არა. სინამდვილეში ჩემი კარიერა 2013 წელს დავასრულე. არასოდეს არ ვაპირებდი მის გაგრძელებას. მომგებიანი წინადადებებიც მქონდა, რომლებიც უზარმაზარ ხელფასს მპირდებოდნენ. ადრე მე ამისათვის 10-15 წელი დამჭირდებოდა, რომ ამდენი გამომემუშავებინა. მაგრამ მე ისინი უარვყავი, რადგან ყველაფრით კმაყოფილი ვიყავი. უზრუნველყოფილი ვარ და არ მჭირდება ახალი გამოწვევები.

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

ამერიკელს სახლი მოპარეს

ამერიკელმა როჯერ პენინგტონმა თავისი ქალაქგარე სახლის გაუჩინარების გამო დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

მამაკაცის თქმით, მან საცხოვრებელი ოჰაიოს შტატში ტბის პირას შეიძინა, რათა პენსიაზე გასვლის შემდეგ თავისი ცხოვრება იქ გაეტარებინა.

– და კიდევ იმიტომაც ვიყიდე, რომ იქ გარშემო სულ ტყეა, მე კი მიყვარს ტყე, – განაცხადა პენინგტონმა.

მან თავისი ახალი სახლი მაისის დასაწყისში დატოვა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ უკან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ 3,5X8,5 ფართობის შენობა ადგილზე აღარ იყო. ცარიელ ადგილზე, მხოლოდ ხიმინჯები იდგა.

მამაკაცმა ასევე აღმოაჩინა, რომ კარზე დაკიდებული ჯაჭვი გადაჭრილი იყო, იქვე კი ხერხის პირი ეგდო. ნაკვეთიდან მანქანის საბურავების კვალი მიემართებოდა. ნაგებობასთან ერთად პენინგტონის ქონებაც დაიკარგა, რომელიც თავად მან ათასხუთას დოლარად შეაფასა.

– პირადი ნივთები იყო, რომელთა დაკარგვას უფრო მეტად განვიცდი, ვიდრე თავად სახლის, – აღნიშნა მამაკაცმა.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით სახლის მოპარვასთან დაკავშირებით საქმე აღძრულია და გამოძიება მიმდინარეობს.

მასწავლებელი სექსუალურ ზეწოლაში ბრალდებისგან დიდმა მუცელმა იხსნა

ამერიკის ტენესის შტატში გეომეტრიის ყოფილი მასწავლებელი სასამართლოში სკოლის მოსწავლე გოგონას მიმართ სექსუალური ზეწოლის ბრალდებაში გამართლდა, რაც მისი დიდი მუცლის დამსახურებაა.

რეი ლინკოლნ ჰედ უმცროსს ბრალი ედებოდა იმაში, რომ 2015 წლის აგვისტოში გოგონას შარვალზე ფეხებს შორის ხელი გადაუსვა, ასევე შეეხო მკერდზე, როდესაც სახიდან თმები გადაუწია. ეს ყველაფერი ტუალეტის მახლობლად სკოლის დერეფანში მოხდა, ხოლო როდესაც გოგონა დაფაზე წერდა, ის მას მთელი კლასის თვალწინ, უკნიდან აწვებოდა.

გოგონას დედის თქმით, მასწავლებლის ქცევის გამო უკმაყოფილებას სხვა მოსწავლე გოგონებიც გამოხატავდნენ, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციას რაიმე ზომებისთვის არ მიუმართავს. ამასთან, მისი თქმით, მასწავლებელი გოგონას გარეგნობის მიმართ ქათინაურებს არ იშურებდა. მისი გოგონა კლასში მასწავლებლის საყვარელ მოსწავლედ ითვლებოდა და ზოგჯერ ის მასთან იმაზე ახლოს მიდიოდა, ვიდრე ეს აუცილებელი იყო.

ჰედის ადვოკატმა ზაკ უოლდენმა განაცხადა, რომ პირველ ორ შემთხვევაში მოსწავლე გოგონამ აღიარა, რომ კარგად არ ახსოვდა, თუ რა მოხდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მას საგანგებოდ ეხებოდა. ასევე მან აღნიშნა, რომ მესამე ინციდენტი შეუძლებელია მომხდარიყო 127 კილოგრამიანი ჰედის დიდი მუცლის გამო. ის შესაძლოა გოგონას მისწოლოდა მხოლოდ ზურგზე და არა დუნდულებზე.

ნაფიცმა მსაჯულებმა 23 წუთი ითათბირეს და ჰედი გაამართლეს.

ეშმაკი კურდღელი კატას გაექცა, მაგრამ ბუს კლანჭებში აღმოჩნდა

აშშ-ში ეშმაკმა კურდღელმა მოახერხა, რომ კატას გაქცეოდა, მაგრამ ბუს კლანჭებისგან თავის დაღწევა ვეღარ შეძლო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ვიდეორგოლისთვის თანდართულ აღწერაში ნათქვამია, რომ ის ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბრაშ პრეირიშია გადაღებული. ოპერატორის თქმით, ის სახლის უკანა კართან იჯდა და ფრჩხილებს იჭრიდა, როდესაც მასთან მისი კატა მივიდა, რომელსაც პირში კურდღელი ეჭირა. მან გადაწყვიტა ეს ყოველივე ვიდეოზე გადაეღო, რათა ენახა, თუ რა მოხდებოდა შემდეგ.

როგორც კი კატამ კურდღელი ძირს დადო და გვერდით გადგა, ცხოველი, რომელიც თავს მკვდრად ასაღებდა, წამოხტა და მდელოზე გაქუსლა. კატა მას გაეკიდა, მაგრამ მის ნანადირევს მოულოდნელად ბუ დააცხრა თავს, კლანჭები ჩაასო და აფრინდა. ვიდეოს ავტორმა ვიდეორგოლს საკუთარ ცხოვრებაში ალბათ ყველაზე საუკეთესო ნამუშევარი უწოდა.

ინგლისელმა ბურბუშელას შეკვრაში გველი აღმოაჩინა

ინგლისის იორკშირის საგრაფოს ქალაქ შეფილდის მცხოვრებმა მოისურვა სიმინდის ბურბუშელებით ესაუზმა, მაგრამ შეკვრაში გველი აღმოაჩინა.

მამაკაცმა მშრალი საკვების შეკვრა კარადიდან გამოიღო და სამზარეულოს მაგიდაზე დადო. ამ დროს შიგნიდან ერთ მეტრამდე სიგრძის ქვეწარმავალი ამოძვრა. დამფრთხალი გველი ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩაძვრა, ხოლო გაოგნებულმა ბრიტანელმა დახმარებისთვის ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებას მიმართა.

– ვფიქრობ, მას სურდა სიმინდის ბურბუშელებით ესაუზმა და არა მაისის გველით, – იხუმრა შემთხვევის ადგილზე მისულმა ცხოველთა დაცვის საზოგადოების თანამშრომელმა კეტი ჰეტჰერინგტონმა. მან გველი ჭურჭლის სარეცხი მანქანიდან ამოიყვანა და სპეციალისტებს გადასცა. მათ რეპტილიის სახეობა განსაზღვრეს და ივარაუდეს, რომ ეგზოტიკური ცხოველი მის მფლობელს გამოეპარა და რომლის მოძებნასაც საზოგადოება ამჟამად ცდილობს

ინგლისში მატარებელი მგზავრებიანად დაიკარგა

დიდ ბრიტანეთში სამგზავრო მატარებლის მემანქანეს ისარი შეეშალა და ასეულობით მგზავრი სულ სხვა ქალაქში ჩაიყვანა.

მატარებლის შემადგენლობა ქალაქ ნიუკასლ-აპონ-თაინიდან გავიდა, რომელიც ლონდონიდან 446 კილომეტრის დაშორებით, ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მას უნდა გადაეკვეთა ქვეყანა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და ქალაქ რედინგში ჩასულიყო, რომელიც ლონდონიდან დასავლეთით 60 კილომეტრში მდებარეობს, მაგრამ დონკასტერში მომხდარი ინციდენტის გამო ის სხვა მიმართულებით გაუშვეს. დაუდგენელი მიზეზით მატარებელმა არასწორად მოუხვია და სამხრეთის მაგივრად დასავლეთისკენ წავიდა. შეცდომა მაშინ შენიშნეს, როდესაც მატარებელმა უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ პონტეფრაქტს მიაღწია.

– ამჟამად მე დაკარგულ მატარებელში, სადღაც პონტეფრაქტის შემოგარენში ვარ, – დაწერა ტვიტერში ერთ-ერთმა მგზავრმა, – ჩვენ აქ გავიჭედეთ, იმის გამო, რომ მემანქანემ „არასწორი გზა აირჩია“. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა?

მისი თქმით, მის გარდა, შექმნილი პრობლემის მოგვარებას ასობით მგზავრი ელოდებოდა.

პონტეფრაქტში დიდი ხნის დგომის შემდეგ მატარებელი უკან, ჩრდილოეთისკენ წავიდა და იმ გზაგასაყართან დაბრუნდა, სადაც შეცდომა მოხდა. ამას დაახლოებით ერთი საათი დაჭირდა. ქალაქ შეფილდში მგზავრები მატარებლიდან გადმოსხეს. იქ მათ შეეძლოთ, ბირმინგემამდე მიმავალ მატარებელს გაჰყოლოდნენ, ხოლო ბირმინგემიდან რედინგამდე მისვლა სხვა მატარებლითაა შესაძლებელი.

ვეფხვების უნიკალური ბოკვერები საზოგადოებას წარუდგინეს

ჩინეთის ზოოპარკმა პირველად წარუდგინა საზოგადოებს ამურის ვეფხვის 24 ბოკვერი. ფოტოსურათები ერთ-ერთი ფოტოსააგენტოს ვებგვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

ცხოველები ჩინეთის ქალაქ შენიანის ზოოპარკში დაახლოებით ერთი თვის წინ დაიბადნენ. დამთვალიერებლებს კი მათი ნახვა უახლოეს დღეებში შეეძლებათ.

24 ახალი ბოკვერი ვეფხვის იშვიათი სახეობის წარმომადგენლები არიან, რომელიც გადაშენების პირას იმყოფება. სპეციალისტების თქმით, სურათები მართლაც უნიკალური გამოვიდა, ვინაიდან დედა ვეფხვები თავგამოდებით იცავენ საკუთარ ნაშიერებს და მათთან მიახლოების უფლებას ზოოპარკის თანამშრომლებსაც კი არ აძლევენ.

ბოკვერების დედებს ამჟამად მათი გამოკვების პრობლემები აქვთ, თუმცა სპეციალისტები აქტიურად ეხმარებიან.

ამ დროისთვის ბუნებაში მხოლოდ 500-მდე ამურის ვეფხვია შემორჩენილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 ივნისისთვის

ვერძი – კარგი პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. გელით ფინანსური მოგება. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **კურო** – დღეს, შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღოთ. უარი არ თქვათ. სავარაუდოდ, სამსახურს შეიცვლით. **ტყუპები** – მოვლენები თქვენ სასარგებლოდ იცვლება. როგორც საქმიან სფეროში, ისე პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეები გაქვთ. ბავშვები და მოხუცები ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – სახიფათო დღეა, დაკავშირებული ტრავმებთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან. ალკოჰოლს ერიდეთ. **ლომი** – ახალი ენერგიით აღივსებთ, რაც მიზნის მიღწევაში ძალიან დაგეხმარებათ. ხელმძღვანელობა თქვენს ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. **ქალწული** – რთული დღეა პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით. შესაძლოა, გრძელვადიანი გეგმების შეცვლა მოგიხდეთ. მეგობრებისა და ახლობლების გამოცდილება ფასდაუდებელ დახმარებას გაგიწევთ. **სასწორი** – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **ღრიანკალი** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად, სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. საყვარელი ადამიანისგან სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – დამშვიდდით და ეცადეთ, ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მელანქოლიური დღეა, თუმცა საამისო მიზეზი არ გაქვთ. **ვერნყული** – დღეს მაქსიმალური წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოთ. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. ნუ იქნებით ამპარტავანი. **თევზები** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად, სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. საყვარელი ადამიანისგან სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ.

3 ივნისისთვის

ვერძი – დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და საკუთარ თავს დღესასწაული მოუწყვეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. **კურო** – გიძლიერდებათ ინტერესი მისტიკის, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურისადმი. იყავით ინიციატივიანი და მიზანს უთუოდ მიაღწევთ. **ტყუპები** – დღეს შემოქმედებით დაკავდით. შესაძლოა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს. დახმარებას ნუ ელით ნათესავებისა და მეგობრებისგან. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. პროფესიონალურთან ერთად, ჯანმრთელობის პრობლემებიც გექმნებათ. მეგობრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – კრიტიკული და მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. პრობლემები არასტანდარტული გზით უნდა გადაჭრათ. **ქალწული** – სამოგზაუროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ემოციებს ნუ აჰყვებით. **სასწორი** – – თუ სიტუაციას დროულად გააანალიზებთ და მოვლენებს აღღოს აუღებთ, რთული სიტუაციიდან გამოსავალს მალე იპოვით. დრო, მოქმედების ტაქტიკა შეცვალოთ. **ღრიანკალი** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. ახლობელი ადამიანი იმედს გაგიცრუებთ. თავი გააკონტროლეთ და ემოციები მოთოკეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო ენერგია ძლიერდება. ეს დღე ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ზომიერების გრძნობა შეინარჩუნეთ. **თხის რქა** – ახლობელმა შესაძლოა მცდარი რჩევა მოგცეთ. იმედი გიცრუვდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მოიწესრიგეთ ძილი. **ვერნყული** – შემოსავალ-გასავალი ყურადღებით აკონტროლეთ. სხვისი შეცდომების გამო შესაძლოა დაბრკოლებებს წააწყდეთ. **თევზები** – ნებისმიერ სიტუაციაში მაქსიმალური თავშეკავება გმართებთ. თქვენი უკიდეგანო პატივმოყვარეობა პრობლემებს შეგიქმნით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. თოჯინა „ბარბის“ მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 4. პოპულარული პარკი თბილისში; 8. თამარ მეფის დედის სახელი; 9. ხილის წვენების პიურესგან მომზადებული ტკბილეული; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 12. იაპონური ხის ქოშები; 14. ჯიხვების ჯოგი; 16. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 17. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 19. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში; 21. კურორტი, ნავსადგური ხორვატიაში.

თარაზულად: 5. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 6. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „მედეას“ ავტორი; 7. ფრანგული ვაშლის არაყი; 10. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 13. პათოსით წარმოთქმული სიტყვა, ფრაზა; 15. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 18. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 20. ხუჭუჭბეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 22. რელიგიური ცენტრი სომხეთში; 23. ფრანგული საავტომობილო ფირმა; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ღებარდე; 2. კიმონო; 3. ჩატურანგა; 4. უჯარმა; 5. რელიქვია; 7. ზარა; 11. სინდიყი; 13. წირქოლი; 15. ღალღა; 16. ჰერტა; 18. ალიბი; 19. იმოლა.

თარაზულად: 6. ეროზია; 8. ციპრასი; 9. იზაბელა; 10. რომანსი; 12. გოთუა; 14. ჩაჩავა; 17. გერიატრია; 20. გეიმერი; 21. აღლუმი; 22. ბიბლია; 23. ფართინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დებეტი; 2. გიენოსი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. სკოტები; 12. იავა; 14. შინი; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. კამენა; 21. გენკი.

თარაზულად: 5. კოტირება; 6. ბენეტონი; 7. ინტერპოლი; 10. მარინა; 13. ვენერა; 15. ავსტრია; 18. ასკოტი; 20. ემისია; 22. სამეგრელო; 23. სტეტსონი; 24. ოკულისტი.

ეკა კვალიაშვილი: „არავითარ შემთხვევაში არ დაემსგავსოთ ცხვრის ფარას“

ასე მოუწოდებს მომღერალი ეკა კვალიაშვილი აქციის მონაწილეებს და წუხილს გამოთქვამს, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ვერ ახერხებს მათ გვერდით დგომას:

– მეგობრებო! გიერთდებით იდეურად, რომ დამნაშავე და მკვლელი უნდა დაისაჯოს და კრიმინალს იგივე ქუჩებში და სადაც არ უნდა იყოს, ბოლო უნდა მოეღოს და რომ მხოლოდ ლაპარაკით საქმე არ კეთდება, ალბათ ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ და არეულობაზე არავის ხელი არ უნდა მოვათბობინოთ და თავი არ გამოვაყენებინოთ არც ერთ ძალას!

ფიზიკურად, სამწუხაროდ, ვერ ვდგავარ თქვენთან ერთად ჯანმრთელობის გამო, მაგრამ თქვენთან ვარ. მხოლოდ ერთს გთხოვთ, ჩემო კარგებო, უამრავი ფაქტია, უამრავი მკვლელობის, გამოსახლების, ქუჩაში დახვრეტების, ციხეებში შევარდნების და ადამიანების წამება-მოკვლის.... და რამდენი ჩამოგითვალოთ....

ეხ, ჩემო კარგებო, არავითარ შემთხვევაში არ დაემსგავსოთ ცხვრის ფარას, გთხოვთ, სადაც საჭირო იყო, მე, ერთმა ქალმა, მარტომ, ჩემი სიტყვაც ვთქვი და ბევრიც გადავიტანე და არასოდეს მივყევი ნაც-მართლაც ხროვას... და გავუძელი ბევრს, ეს ჩემი ჯანმრთელობის ფასად. ჩემი შვილი, რომელიც მაშინ სკოლის მოსწავლე იყო, სკოლაშიც ვერ ვუშვები, რადგან 50 თეთრიც არ მქონდა... ნისიად ამოტანილ „ანაკომი“-ს სუპებზე მყავდა თვეობით შვილი და ვალებით ვარსებობდი. შიგა და შიგ კონცერტი (კერძო) გამოჩნდებოდა და ცოტას ამოვისუნთქავდი.

აქ ყველაფერს ვერ აღვწერ, შინაგან განცდებს ვერ აღვწერ და ძალიან მსუბუქად განვდით ამ ამბავს. ყოველდღე ვწირავდი დიდ მადლობას ღმერთს, რომელიც მაძლევდა ამ ძალას და მოთმინებას. არასოდეს მომიტყუებიხართ და საკუთარი კეთილდღეობისთვის არავინ შემიქია, რადგან ვიცი, ბევრი დამიჯერებდა, უამრავი წამომყვებოდა და ირწმუნებდა, რომ სიმართლეს ვამბობდი ვიღაცაზე, ვიღაც გიუზე, არაადეკვატურ გიუზე.

ნუ გაქვთ იმედი, რომ ის ძალა რაიმე კარგს მოიტანს, მე პირადად ვიცი, არც ახლა დგას კარგი დრო საქართველოში და ამდენი წლის განმავლობაში უნდა დამდგარიყო! მაგრამ იცოდეთ, ვერც მე და ვერც თქვენ ვერაფერს შევცვლით, სანამ ადამიანების ცნობიერება არ შეიცვლება, სანამ დაკარგულ და სადღაც ჩაკუჭულ სიყვარულს ყველაზე დიდი როლი არ დაეკისრება ერთმანეთის მიმართ, სანამ სიყვარულით, პატივისცემით სავსე ურთიერთქმედებაში არ მოვა მექანიზმი და ამის ყველაზე დიდი ნაწილები ჩვენ ვართ, ღვთიური ადამიანები. სანამ იმედს ღმერთზე არ დადებთ და ვიღაცის იმედი გექნებათ! იცოდეთ ვერაფერს შეცვლის ეს მიტინგები! ეს ყველაფერი გაუტანლობის შედეგია....

ერთ იგავს მოგიყვებით პატარას: სამთავიანი დრაკონი დაეპატრონა წყალს! და ხალხი წყურვილით იღუპებოდა, მოვიდა მზეჭაბუკი და უთხრა ადამიანებს, მე მოვკლავ და გაგათავისუფლებთ ამ საშინელებისგან! ხალხი წაჰყვა და ერთხმად სკანდირებდნენ, მზეჭაბუკიიიიიიი!!! იმედი მხოლოდ ამ ადამიანის ჰქონდათ. შევიდა ჭაბუკი გველეშაპის სამკვიდრებელში და დააჭრა თავები!!! გამოვიდა და დახვდა ხალხი ბედნიერი, ყველას მისი მხარე ეჭირა. და გამოუტანეს ტახტი, რომელიც მანამდე გველეშაპს ეპყრა. და ავიდა ჭაბუკი სამ კიბეზე, შემობრუნდა, რომ ჩამჯდარიყო ტახტში, დაჯდა.. ასწია თავი და... იმ ლამაზი თავის მაგიერ გველეშაპის 3 თავი ამოსვლოდა....

გამგებმა გაიგოს! და თუ ვინმეს ახსნა სჭირდება რაიმესი, იფიქროს და თუ ღრმად ჩაუკვირდება, მიხვდება!

გიო საჯაია: „ყველაფერი მახსოვს, წარსულიდან მოყოლებული, მომავლით დამთავრებული“

პოეტი გიო საჯაია ქვეყანაში არსებულ ვითარებას სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– მახსოვს, ერთხელ, ბიძინამ ახსენა ორუელის „ცხოველების ფერმა“. კონტექსტი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ აღფრთოვანებას გამოხატავდა ამ ნაწარმოების გამო. რაც დრო გადის, მით უფრო სერიოზულად მეპარება ეჭვი იმაში, რომ საერთოდ წაკითხული აქვს და თუ ვცდები, არ გამოვრიცხავ, ვცდებოდე და მაინც აქვს, მაშინ, არცთუ ისე უსაფუძვლო ეჭვი მაქვს, რომ აზრი ვერ გამოიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი, რაც დღეს ხდება, არ მოხდებოდა. აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ... ძალიან მოკლე შინაარსს მოვყვები მათთვის, ვისაც შეხება არ ჰქონია ამ ნაწარმოებთან:

ერთ-ერთ ფერმაში ცხოველები მოახდენენ გადატრიალებას, ადამიანებს გაყრიან და მმართველობას საკუთარ ხელში აიღებენ. დაწერენ ახალ კანონებს, დაამყარებენ ახალ წესრიგს. როგორც ყველა სოციუმს, მათაც სჭირდებათ ლიდერები და ამ მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო ფუნქციას ღორები აიღებენ თავის თავზე. რაღაც პერიოდი ცხოვრობენ ასე ჰარმონიულად და ბედნიერად. მერე, ნელ-ნელა, ყველაფერი იცვლება და ყველაფერთან ერთად, იცვლება კანონებიც, მცნებები და საბოლოოდ ისე აღმოჩნდება, რომ შვიდი მცნებიდან, რომლებიც ცხოველებს არ უნდა დაერღვიათ, ექვსი საერთოდ გაქრება ბელელის კედლიდან, სადაც ეს მცნებები იყო ჩამოწერილი წერა-კითხვის მცოდნე ღორების მიერ, ხოლო მეშვიდე და მთავარი „ყველა ცხოველი თანასწორია“, შემდეგ სახეცვლილებას მიიღებს: „ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი ცხოველი უფრო თანასწორია“.

ყველაზე სიმბოლური მომენტი ის არის ნაწარმოებში, რომ როცა ცხოველები ცდილობენ რამენაირად გააპროტესტონ ღორების თავგასული პრივილეგიურობა, ღორებისგან პასუხად იღებენ იმას, რომ თუ ჭკვიანად არ იქნებით, ადამიანები დაბრუნდებიან და ყველანი დავიღუპებითო და ეს ისეთი რკინის არგუმენტია, რომელსაც კონტრარგუმენტი არ გააჩნია, რადგან ადამიანების დაბრუნებას, ისევ ღორების ღორული მმართველობის ატან ურჩევნია ყველას. იმედია, გასაგებია ნაცების დაბრუნებასთან გავლებული პარალელი და გავაგრძელებ შინაარსის თხრობას, თუმცა დიდად მოსათხრობიც არაფერია, მთელი ამ ნაწარმოების გენიალურობისდა მიუხედავად. საბოლოოდ ისე ხდება, რომ ღორები ადამიანებივით წელში იმართებიან და ორ ფეხზე იწყებენ სიარულს, ნელ-ნელა სახეებიც ეცვლებათ და ქცევებიც, შედიან ადამიანების სახლში და ადამიანურად ცხოვრობენ, რაც თავდაპირველი მცნებებით აკრძალული იყო და ერთხელაც, ადამიანებს მოიწვევენ ფერმაში და მათთან ერთად სხედან და ვახშმობენ, სვამენ და იცინიან და განიხილავენ მომავალ გეგმებს, დანარჩენი ცხოველები კი დგანან ფანჯარასთან და აკვირდებიან ხან ღორებს და ხან ადამიანებს და ვეღარ არკვევენ, ვინ ღორია და ვინ ადამიანი.

თუ ახლა ეს ბოლომდე წაიკითხეთ, ნუ მკითხავთ, რამ გაგახსენა დღეს ეს ყველაფერიო, მე ყველაფერი მახსოვს, წარსულიდან მოყოლებული, მომავლით დამთავრებული და ეს ჩემი უცნაური მეხსიერება მკარნახობს, რომ ტეხავს, პრემიერს რომ აქციიდან გაგაგდებენ, ამ შემთხვევაში პირადად კვირიკაშვილზე არ არის საუბარი, ის მთელ ხელისუფლებას წარმოადგენს, ხელისუფლებამ კი იმდენი არასდროს უნდა მოჯ.ა, შემიძლია ვთქვა, მოისაქმო-მეთქი, მაგრამ საკუთარი სტილიდან ამოვვარდები, გაპრანჭულ პოსტებს სხვისას ვერ ვიტან, საკუთარ ქვეყანაში და საკუთარ ხალხთან, რომ შენივე მოჯ.ულს რომ შეგაჭმევენ, ყელში არ გადაგივიდეს. ეს ნაცებსაც ეხებათ, რომლებიც, დღეს, უნამუსოდ, სამართლიანობის აღდგენაზე ალაპარაკდნენ და მათაც, ვინც მათ ამის საბაბი მისცა. მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ მე დღეს ვეღარ ვარკვევ, ვინ ღორია და ვინ უფრო ღორი, თუმცა ეს ალბათ ჩემი პრობლემაა, რომელსაც არავის ვახვევ თავს.

პ.ს. არადა, ვფიქრობდი, ფეისბუქს გავაუქმებ-მეთქი და ბოლო პერიოდი გაუქმებულიც მქონდა, მაგრამ ჩემი პირადი მორალი, საზოგადოებრივი მორალისგან დიდი ხანია თავი შორს მიჭირავს, არ მაძლევს იმის საშუალებას, ეს ყველაფერი ახლა რომ არ ვთქვა.

ნიკა ჩერქეზიშვილი: „გიორგი კვირიკაშვილმა პირადად მოსპო ჩემი და ჩემი ოჯახის მომავალი“

აცხადებს პოეტი ნიკა ჩერქეზიშვილი და ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებს აფასებს:

– გიორგი კვირიკაშვილმა პირადად მოსპო ჩემი და ჩემი ოჯახის მომავალი, მაგრამ პირადი ტრაგედიის მიუხედავად, არც ენა მიბრუნდება და არც გული, რომ ყოფილი ხელისუფლების მეხოტბე გავხდე, რომელმაც, როგორც მე ამუამინდელმა ხელისუფლებამ, უამრავი ადამიანი გაამწარა.

ერთმანეთზე უარესია ჩემთვის ორივე, ყოფილიც და ახლანდელიც, რადგან ერთსაც და მეორესაც ფეხებზე კიდია უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანის ბედი ამ ქვეყანაში.

ეს არის სიმართლე და ეს არის ჩვენი ქვეყნის უბედურება.

არ მინდა ზაზა სარალიძე მივატოვოთ, როგორმე უნდა დავიცვათ იმ გიენებისგან, ვისაც ერთი სული აქვს, სათავისო ნაჭერი გამოძიძგნოს შექმნილ მდგომარეობას.

ვინც აზიარებთ აქციაზე გადაღებულ კვირიკაშვილისა და სარალიძის ერთობლივ ფოტოს და მონუსხულები ხართ პრემიერ-მინისტრის დიდსულოვნებით, მათ მინდა გითხრათ:

2016 წლის დეკემბერში, მთელი კვირის განმავლობაში, ღია ცის ქვეშ, მინუს ტემპერატურაზე ვათევდით ღამეებს მე და ჩემი მეგობრები და ძაღლად არ ჩაგვაგდო, ჩვენთან ჩამოსვლა კი არა, ფანჯრიდან არ გამოუხედავს ერთხელ.

ვინც იქ ხუთი წუთით მაინც მოვიდა, დღემდე ვერ დაივიწყებდა, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა. გვაწვიმდა, გვათოვდა, ვიყინებოდით და ვითომც არაფერი. მიშვებულები ვიყავით სიკვდილზე.

„ჩაძაღლდით თქვენი..“ – აი, ეს ჟინი ჟონავდა მთავრობის კანცელარიის სქელი კედლებიდან.

მას შემდეგ ოთხი წერილი დავტოვე მის სახელზე მთავრობის კანცელარიაში, მესამე წელი დაიწყო და არც ერთზე არ მიმიღია პასუხი დღემდე, თითქოს არც ვარსებობ და წარმოსახვითი ქვეყნის წარმოსახვითი შვილი ვარ. არარაობა. აბა, დამდგომოდით მაშინ გვერდით, ჩემთანაც მოვიდოდა და მეც ჩამთვლიდა ადამიანად.

ამათთვის მხოლოდ წინასაარჩევნოდ არის ჩვენი ხმა მნიშვნელოვანი, მხოლოდ ამ პერიოდში გვაქვს რაღაც ფასი. გაინაღდებენ თავისას და მოგვტ..ნია პატრონი.

ახლაც, ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად და თანაგრძნობის გამოსახატავად კი არა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად მივიდა იქ. აქამდე სად იყო? განწირული რომ ხაოდა ზაზა საქმეს აყალბებენ და ჩემი შვილის მკვლელებს ხელს აფარებენო. სად იყო და განცხადებებს აკეთებდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ ეფექტურად იმუშავეს და ყველა კითხვაზეა გაცემული ამომწურავი პასუხი. აი, სად იყო. გაუვიდოდათ და ჩაფარცხავდნენ, არ გაუვიდათ და სხვანაირად აჭიკჭიკდნენ. როგორც სხვა პარტიის წარმომადგენლები იყენებენ სიტუაციას სათავისოდ, ისევე იყენებს ეს ხელისუფლებაც შექმნილ მდგომარეობას.

საბოლოოდ, იჭყლიტება ზაზა, იკარგება სიმართლე და კიდევ უფრო მეტად ეფლობა ნიჰილიზმსა და უიმედობაში ხალხი და ქვეყანა. ეს მთავრობა არ არის ხალხის მთავრობა, ეს არის საკუთარი, პირადი ცხოვრების მოსაწყობად მოსული ადამიანების ჯგუფი, რომელიც აქცენტირებული და ორიენტირებულია იმაზე, რომ ვიდრე ძალაუფლებას ფლობს, რაც შეიძლება მეტი ქონი მოიკიდოს.

მეც სამართლიანობას ვითხოვ და მეც ცამდე მართალი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ მეზიზღება საკუთარ თავზე საუბარი, ამ სიტყვების თქმის არასოდეს შემრცხვენია.

მაგრამ ეს ცალ-ცალკე აქციები რაღა უბედურებაა? მე სუფთა ვარ და სხვა გასვრილი? თუ მაწუხებს და არ მასვენებს უსამართლობა, თუ ვთვლი, რომ იჩაგრება ადამიანი, მივალ და დავდგები იქ, სადაც უსამართლობის მსხვერპლი დგას, თუ არადა, თმაზე არავინ მექაჩება, ვიჯდები სახლში.

ყველა სხვა ქმედება უშნო პოზიორობა მგონია. თუ სიმართლე არ მაქვს იქ, სადაც ვარ, ვერ მექნება ვერსად, სულ იალბუზზეც რომ ავიდე. იესოსაც მაგას დასძახოდნენ ფარისევლები, მებაჟეებთან და მეძავებთან რატომ ზიხარო. ახლა, რომელიმე ჩვენგანმა რომ დაინახოს იესო, სადაც არ უნდა იდგეს და ვისთანაც არ უნდა იდგეს, წამოსცდება ერთს მაინც, რომ მე იესოს გვერდით ვერ დავდგები, მანდ ისეთი ხალხი დგასო, წამოსცდება? ან როგორ ფიქრობთ, იესო გააგდებდა ვინმეს?

არც ზაზაა ქრისტე და არც ჩვენ ვართ ანგელოზები, ადამიანები ვართ და ერთმანეთი გასაჭირში არ უნდა მივატოვოთ. მოკლედ, ან ხარ, ან არა, ან დგახარ, ან არა. მორჩა და გათავდა. სულ ეს არის.

მიშო სულუხია: „დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ ხართ საქართველოს, როგორც უდიდესი კულტურისა და ისტორიის მქონე დამოუკიდებელი რესპუბლიკის მმართველობაში“

მომღერალი მიშო სულუხია მთავრობის წევრებს მიმართავს და შეახსენებს, რომ ისინი საქართველოს, როგორც უდიდესი კულტურისა და ისტორიის მქონე დამოუკიდებელი რესპუბლიკის მმართველობაში არიან:

– საბოლოოდ რა შედეგებს დადებს ქართველი ახალგაზრდების თანადგომა არ ვიცით, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ თქვენ შარვალ-კოსტუმებში გამოწყობილი მკვლელები, ცინიკოსები, ბიზნესმენები და საკუთარ ჯიბეზე და განდიდებაზე მეოცნებე არსებები, რომელთაც ხშირად პოლიტიკოსები გქვიათ, ერთ რამეს კარგად დაიმახსოვრებთ: რომ თქვენ არსებობთ იმიტომ, რომ საქართველოს კეთილდღეობა შექმნათ, გვემსახუროთ იმიტომ, რომ ჩვენ ვიყოთ ბედნიერები, მომავალმა თაობამ იგრძნოს თავი მშვიდად და ჩვენს მშობლებს არ ეშინოდეთ მწარე სიბერის. ეს არის თქვენი მისია...

და სულ გვკიდია თქვენი კარიერა. დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ ხართ საქართველოს, როგორც უდიდესი კულტურისა და ისტორიის მქონე დამოუკიდებელი რესპუბლიკის მმართველობაში და კარგად გააანალიზეთ თქვენი მისია და შინაარსი, სანამ თქვენთვის საოცნებო თანამდებობაზე შედგამთ ფეხს და სავარძელზე დადებთ საჯდომს. იყავით მაქსიმალურად გამჭვირვალენი და გულწრფელები იმ უდიდესი ბირთვის მიმართ, რომელსაც „ქართველი ხალხი“ ჰქვია და, პირველ რიგში, თქვენ გქონდეთ განცდა სახელმწიფოებრიობისა და ლოიალურობის, თორემ საქართველოს მონატრებაში ბევრს ამოხდენია სული... და ამაზე მწარე არაფერია, როდესაც სახლში აღარავინ გელის!

გიორგი ნაზღაიძე ცნობად სახეებს აკრიტიკებს

ტელეწამყვანი და მოდელი გიორგი ნაზღაიძე ცნობად სახეებს აკრიტიკებს და მათგან მეტ აქტიურობას მოითხოვს:

– ცნობადი სახეები მხოლოდ წითელ ხალიჩებზე და ვარსკვლავების გახსნაზე დადიხართ თუ როგორ არის ჩვენი საქმე? უსამართლობის განცდა და მოქალაქეობრივი შეგნება ნული?

ხვალ შეიძლება თქვენს შვილებს დაემუქროს იგივე!

დავიჯერო, ისეთ ქვეყანაში მოგწონთ ცხოვრება, დილით სკოლაში გაშვებულ შვილს, შინ რომ მკვდარს მოგისვენებენ?

პ.ს. მაინცდამაინც ჰონორარის გადახდაზე გამოდიხართ? სირცხვილი თქვენი!

მანიკა ასათიანი: „მკვლელები ციხეში!“

აცხადებს მოდელი მანიკა ასათიანი და სამართლიანობისთვის ბრძოლისთვის პოლიტიკური სახის მიცემის წინააღმდეგია:

– ხომ შეიძლება, რომ სამართლისთვის ბრძოლას, ერთხელ მაინც არ მიეცეს პოლიტიკური სახე?!

მეზიზღებით ყველა, ვინც ამ ბავშვის და მისი მშობლების ტრაგედიით პოლიტიკურ ხელებს ითბობთ!

ასევე მეზიზღებით ყველა, ვინც ამ კაცის საცოდაობას უყურებთ და ხელს აფარებთ დამნაშავეს, თუნდაც დუმილით!

მკვლელები ციხეში!

და აქციაზე საკუთარი თავის გასაპიარებლად მისული ხალხი სახლში!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4664
- ევრო — 2.8812
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2865
- 100 რუსული რუბლი — 3.9731

ამინდის პროგნოზი 2 ივნისისთვის

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში

ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

კარიმ ბენზემამ შესაძლოა რეალი დატოვოს

კარიმ ბენზემამ შესაძლოა მადრიდის რეალი დატოვოს, რადგან მას რეალის ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ზიდანი ბენზემას ყოველთვის იცავდა და მისი წასვლის შემდეგ კარიმისთვის ბევრი რამ შეიცვლება.

ბენზემას რამდენიმე ინგლისური კლუბი ეპატიჟება, მაგრამ თვითონ ფრანგ ფორვარდს რეალიდან წასვლა არ სურს, რაც ბენზემამ განაცხადა კიდეც ერთ-ერთ ინტერვიუში.

კარიმ ბენზემა რეალის ღირსებას 2009 წლიდან იცავს და მთელი ამ ხნის მანძილზე ის მადრიდული გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

არსენ ვენგერი რეალში?

მას შემდეგ, რაც მადრიდის რეალი მწვრთნელის გარეშე დარჩა, უამრავი სპეციალისტის სახელმა გაიჟღერა პრესაში, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული კანდიდატურა არ ჩანს. ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეალის მწვრთნელი შესაძლოა არსენ ვენგერი გახდეს, რომელმაც წელს არსენალი დატოვა.

ვენგერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ დასვენება არ სურს და მისი მიზანი ამბიციურ კლუბში მუშაობაა.

საუბრობენ მაურისიო პოჩეტინოზეც, მაგრამ მან ტოტენჰემთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ტოტენჰემიდან წასვლას არ აპირებს.

აბრამოვიჩი ჩელსის გაყიდვას აპირებს

რომან აბრამოვიჩმა შესაძლოა ჩელსი გაყიდოს, რადგან ბოლო პერიოდში მას ინგლისში პრობლემები შეექმნა.

ბოლო პერიოდში აბრამოვიჩი ვეღარ იცლის ჩელსისთვის, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ჩელსის ახალი მფლობელი გამოუჩნდეს. ლონდონური კლუბი დაახლოებით მილიარდი ფუნტი სტერლინგი ღირს და ამაზე ნაკლებად ჩელსი არ გაიყიდება.

რომან აბრამოვიჩი ჩელსის მფლობელი 2003 წელს გახდა და მასთან ერთად ჩელსიში ახალი, წარმატებული ეპოქა დაიწყო.

დიდიე დეშამმა გრიზმანს ატლეტიკოში დარჩენა ურჩია

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა ანტუან გრიზმანს ატლეტიკოში დარჩენა ურჩია.

ცნობილია, რომ გრიზმანის ყიდვა ბარსელონას სურს და ეს ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. დეშამის აზრით, გრიზმანი ბარსელონაში რიგითი ფეხბურთელი იქნება, ატლეტიკოში კი ის ერთ-ერთი მთავარი ლიდერია.

გრიზმანი გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

პროფესორი სტუდენტს ეუბნება:

– თუ ჩათვლას დაგიწერთ, თქვენ ბოლოს და ბოლოს დიპლომს მიიღებთ და ინჟინერი გახდებით, მაგრამ თუ არ დაგიწერთ, გაგრიცხავენ, ჯარში წახვალთ და ჩვენ დაგვიცავთ.

– მერე?

– მერე ის, რომ არ ვიცი, რომელი უფრო უარესია...

...

ქალიშვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, მე ისეთი შეუხედავი ვარ.

– რას ამბობ, შვილო, ჩემთვის შენ ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ხარ!

– მართლა, დედიკო? მაშინ მირჩიე, დღესასწაულისთვის როგორი კოსმეტიკა წავისვა და რომელ კოსტიუმში გამოვეწყო?

– და რისთვის? რად გინდა კოსმეტიკა ან კოსტიუმი, შენ ისედაც ყველას დაჩრდილავ!

– კარგი, დედიკო, მაშინ გავიქეცი!

– შესანიშნავ ჰელოუინს გისურვებ, შვილო!

●●●

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, იქნებ რამე სხვა ავადმყოფობა აღმოგეჩინათ ჩემთვის. მაგის მკურნალობა მეტისმეტად ძვირია.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ პირველად წავყევი ქმარს სათევზაოდ და საშინლად ვიჩხუბეთ.

– რატომ?

– თავიდან ხმამაღლა ვლაპარაკობდი და მთელი თევზი დავაფრთხე, შემდეგ ნემსკავზე არასწორად წამოვაგე სატყუარა, შემდეგ უდროო დროს ამოვწიე ანკესი და ბოლოს ყველაფერი საშინლად დასრულდა...

– მაინც?

– ჩემს ქმარზე მეტი თევზი დავიჭირე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. საფრანგეთის პრეზიდენტი; 2. ბულგარეთის ძველი დედაქალაქი; 3. ისტორიული პროვინცია ესპანეთში; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 7. აფრიკული თუთიყუში; 11. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 13. სოფელი საჩხერის რაიონში; 15. მდინარე ევროპაში; 16. ბრაზილიური ცეკვა; 18. გადამდნარი ღორის ქონი; 19. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი.

თარაზულად: 6. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 8. მაწანწალის, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 9. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 10. ბრიტანელი კინოვარსკვლავი ქალი; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 14. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 17. ყვითელი ფერის შემოდგომის ხილი; 20. ქართველი ველოსიპედისტი, მსოფლიო ჩემპიონი; 21. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 22. მდინარე კიევში; 23. ისტორიული სატუსაღო პარიზში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა